**სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის**
**სახელმწიფო უნივერსიტეტი**

30 აპრილი, 2025 წ.

# ბრძანება N 01-18/176

## 2025 წელს განსახორციელებელი ბსუ-ს სტუდენტური პროექტების დაფინანსების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე და 24-ე მუხლების, ბსუ-ს წესდების მე-15 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტური პროექტების დაფინანსების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 26 მარტის N02 გადაწყვეტილების, „ბსუ-ს სტუდენტური საპროექტო განაცხადების ფორმებისა და შეფასების კრიტერიუმების დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 16 აპრილის N01-08/39 ბრძანების, „ბსუ-ს 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2024 წლის 11 დეკემბრის N07-01/69 გადაწყვეტილების, „ბსუ- სტუდენტური საპროექტო განაცხადის საბიუჯეტო კლასიფიკაციისა და გასაწევი ხარჯის ზღვრული ოდენობების განსაზღვრის თაობაზე“ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2022 წლის 03 მაისის №01-10/49 ბრძანების (ცვლილება ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2023 წლის 18 ოქტომბრის №01-10/118 ბრძანებით), „2025 წელს განსახორციელებელი ბსუ-ს სტუდენტური პროექტების შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2025 წლის 12 მარტის N01-02/45 ბრძანების, „2025 წელს განსახორციელებელი ბსუ-ში სტუდენტური პროექტების გამოვლენის, განხილვისა და დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით საკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2025 წლის 17 აპრილის N01-02/74 ბრძანების, კონკურსის შედეგების შესახებ ბსუ-ს რექტორის მოადგილის 2025 წლის 25 აპრილის N446828 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. **დაფინანსდეს** 2025 წლის აპრილში ჩატარებული კონკურსის შედეგად გამარჯვებული, **2025 წელს განსახორციელებელი ბსუ-ს სტუდენტური პროექტები:**

1. **„ვირტუალური ლაბორატორია -*AtomLab*“** /„Virtual Laboratory -AtomLab" (წინამდებარე ბრძანების **N1 დანართი**):
   **ა)** პროექტის ხელმძღვანელები (ავტორები): 1. **ნანუკა მანველიძე** (ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის „ქიმიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის პირველი სასწავლო წლის სტუდენტი) და 2. **ლიზი ხალვაში** - (ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის „ქიმიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის პირველი სასწავლო წლის სტუდენტი);
   **ბ)** პროექტის ბიუჯეტი - **6 800 ლარი**;

2. **„ბსუ: სამგანზომილებიანი ხედვა“** (წინამდებარე ბრძანების **N2 დანართი**):
   **ა)** პროექტის ხელმძღვანელები: 1. **დათა კობალაძე** (იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის „საჯარო მმართველობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მესამე სასწავლო წლის სტუდენტი) და 2. **ნიკა საჯაია** (ბსუ-ს ტექნოლოგიური

ფაკულტეტის „არქიტექტურის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მესამე სასწავლო წლის სტუდენტი);

**ბ)** პროექტის ბიუჯეტი - **10 000 ლარი;**

3. **„მოძრავი ქიმიური ლაბორატორია“** (წინამდებარე ბრძანების **N3 დანართი):**

ა) პროექტის ხელმძღვანელი **ანა ჯინჭარაძე** (ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის „ქიმიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მეორე სასწავლო წლის სტუდენტი);

**ბ)** პროექტის ბიუჯეტი - **3 060 ლარი;**

4. **„ვიზიტები სახელმწიფო სტრუქტურებში“** (წინამდებარე ბრძანების **N4 დანართი):**

ა) პროექტის ხელმძღვანელი **მარიამ ანთაძე** (ბსუ-ს იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის „საერთაშორისო ურთიერთობების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მესამე სასწავლო წლის სტუდენტი);

**ბ)** პროექტის ბიუჯეტი - **10 500 ლარი;**

5. **„ლიმინალი“** (წინამდებარე ბრძანების **N5 დანართი):**

ა) პროექტის ხელმძღვანელი **მარიამ დევაძე (ბსუ-ს** იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის „ფსიქოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მეორე სასწავლო წლის სტუდენტი);

**ბ)** პროექტის ბიუჯეტი - **3 000 ლარი;**

6. **„სასამართლოს კარები ღიაა“** (წინამდებარე ბრძანების **N6 დანართი):**

ა) პროექტის ხელმძღვანელები: **1. ჟანა ბოლქვაძე** (ბსუ-ს იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის „სამართალმცოდნეობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მეორე სასწავლო წლის სტუდენტი) და **2. ნატო საგინაძე** (ბსუ-ს იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის „სამართალმცოდნეობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მეორე სასწავლო წლის სტუდენტი);

**ბ)** პროექტის ბიუჯეტი - **4 292.6 ლარი;**

7. **„თეატრის 72 საათი - როცა სცენის ფარდა იხსნება** (72 Hours Of Theatre – When the Stage Curtain Rises)“ (წინამდებარე ბრძანების **N7 დანართი):**

ა) პროექტის ხელმძღვანელი **მელანო ჩხაიძე** (ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის „მედიცინის“ ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის მეოთხე სასწავლო წლის სტუდენტი);

**ბ)** პროექტის ბიუჯეტი - **12 000 ლარი.**

2. ამ ბრძანებით დამტკიცებული 2025 წლის სტუდენტური პროექტების ბიუჯეტების და ბსუ-ს სამართლებრივი აქტების შესაბამისად რესურსების განკარგვის კოორდინაცია უზრუნველყოს ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტმა და წინამდებარე ბრძანების დანართების შესაბამისად განხორციელდეს პროექტების ბიუჯეტებით გათვალისწინებული აქტივობები (პერსონალის მოწვევა, სამსახურებრივი ბარათების წარმოდგენა, მატერიალური რესურსების გამოყენება, შეძენა და სხვა).

3. ამ ბრძანების შესრულებაზე კონტროლი განახორციელოს რექტორის მოადგილემ (მ. ხალვაშმა)

4. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

5. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია), ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტს, იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტს, ტექნოლოგიურ ფაკულტეტს, სტუდენტური **პროექტების ხელმძღვანელებს:** ნანუკა მანველიძეს, ლიზი ხალვაშს, დათა კობალაძეს, ნიკა საჯაიას, ანა ჯინჭარაძეს, ჟანა ბოლქვაძეს, ნატო საგინაძეს, მარიამ ანთაძეს, მარიამ დევაძეს, მელანო ჩხაიძეს (მათთვის ჩაბარება უზრუნველყოს ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტმა).
6. ბრძანება ძალაშია ხელისმოწერისთანავე.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის ქუჩა N30).

**ადმინისტრაციის ხელმძღვანელი** **მერაბ დიასამიძე**

„2025 წელს განსახორციელებელი ბსუ-ს სტუდენტური პროექტების დაფინანსების შესახებ“

**ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2025 წლის 30 აპრილის N01-18/176 ბრძანების**

**დანართი 1**

2025 წელს განსახორციელებელი ბსუ-ს სტუდენტური პროექტი **„ვირტუალური ლაბორატორია - AtomLab“**
(სტუდენტური საპროექტო განაცხადის ID : 121)

**(საგანმანათლებლო მიმართულებით)**

| | | | |
|---|---|---|---|
| **განმცხადებელი** | **პროექტის ხელმძღვანელის/განმცხადებლის სახელი, გვარი, პირადი ნომერი** | ნანუკა მანველიძე (პ/ნ [redacted])<br>ლიზი ხალვაში ( პ/ნ [redacted] | |
| | **სტუდენტთა ჯგუფის/გაერთიანების სახელი** (ჯგუფის მიერ წარმოდგენელი პროექტის შემთხვევაში) | „ბსუ-ს ქიმიკოსები“ | |
| | **განმცხადებლის ფაქტობრივი მისამართი** | ქ [redacted]<br>ქ [redacted] | |
| | **საკონტაქტო მობილურის ნომერი** | ნანუკა მანველიძე -<br>ლიზი ხალვაში - | |
| | **საკონტაქტო ელექტრონული ფოსტა** | [redacted] | |
| **პროექტის შესახებ** | **პროექტის დასახელება**<br>(უცხოენოვანი პროგრამის სტუდენტებისთვის ინგლისურად) | **„ვირტუალური ლაბორატორია - AtomLab“**<br>„Virtual Laboratory -AtomLab'' | |
| | **პროექტის დაწყებისა და დასრულების თარიღები** | **დაწყების თარიღი**<br>**01/05/2025**<br>**(რიცხვი/თვე/წელი)** | **დასრულების თარიღი**<br>**15/12/2025**<br>**(რიცხვი/თვე/წელი)** |
| | **პროექტის მთლიანი ბიუჯეტი** | 6800 | |
| | **თანადაფინანსება** | 0 ლარი | |
| | **ბსუ-დან მოთხოვნილი თანხა** | 6800 | |
| | **ხელმოწერა: ნ. მანველიძე ლ. ხალვაში** | | |
| | **განაცხადის წარდგენის თარიღი** | **12/04/2025**<br>**რიცხვი/თვე/წელი** | |

**პროექტის აღწერა:**

ა) **პრობლემის განსაზღვრა**:

ტექნოლოგიების გაუმჯობესება მუდმივი და განახლებადი პროცესია, რომელიც მოიცავს ინოვაციების დანერგვას, ასევე არსებულის დახვეწას. რაც უფრო ვითარდება ტექნოლოგიები, მით უფრო ეფექტურია ჩვენი ცხოვრება სხვადასხვა დარგში. აქედან გამომდინარე, ტექნოლოგიები დიდ როლს ასრულებს მეცნიერებაში. სწორედ ამ მიზნების გათვალისწინებით ვფიქრობ, საჭიროა, რომ ყურადღება დაეთმოს მსგავსი საკითხების წინ წამოწევას, თანაც ჩვენთვის ცნობილია, რომ უნივერსიტეტში მიღებული განათლება უნდა იყოს თანამედროვე სტანდარტების, მაღალ აკადემიური ხარისხზე ორიენტირებული და ასევე მეტი ეფექტიანობის მისაღწევად აკადემიური მართვის პროცესი უნდა იყოს მუდმივად განვითარებადი და მაქსიმალურად <u>დიგიტალიზირებული.</u>

ზემოთ აღნიშნული საკითხების გათვალისწინებით ჩვენი პროექტი ხელს უწყობს ინოვაციურ ტექნოლოგიაზე დაფუძნებულ საგანმანათლებლო მეთოდიკის განვითარებას, ქიმიის პოპულარიზაციას, ცოდნის ხარისხის გააუმჯობესა და თანამედროვე პედაგოგიური მეთოდების დანერგვასა და დიგიტალიზაციას. პროექტში ჩართული იქნებიან სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტები, სკოლის მოსწავლეები და პროფესორ/მასწავლებლები. სასწავლო არეალის გაფართოებით გაუმჯობესდება არა მხოლოდ სწავლის ხარისხი, არამედ მისი მეთოდიკაც. ეს ყოველივე დაგვეხმარება სამომავლო პერსპექტივის უკეთ წარმოსახვაში ცოდნის გასაღრმავებლად.

მაშასადამე, პროექტის მიზანია სტუდენტებში სამეცნიერო სფეროს წინ წამოწევა, მისი გამარტივება და ძველი სტერეოტიპების დამსხვრევა, რომელიც მეცნიერებას წარმოაჩენს მოსაწყენ სირთულედ. არსებითად დიდ პრობლემას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ლაბორატორიები არაა ხელსაყრელი და ხელმისაწვდომი გამოუცდელ ან არაკვალიფიციური ადამიანებისთვის, თუნდაც ისეთ სოციალურ ჯგუფებზე, რომლებსაც ეს სფერო აინტერესებთ, თუმცა ვერ ეწყობათ ხელი. სწორედ ეს ვირტუალური ლაბორატორია იქნება ის სივრცე, სადაც პრაქტიკული ცდების ჩვენება ვებ-გვერდის საშუალებით სტუდენტებს ექნებათ შესაძლებლობა ვირტუალურად გაეცნონ სხვადასხვა სახის ქიმიურ ექსპერიმენტებსა და რეაქტივებს.

ბ) **მიზანი:**

ჩვენი უნივერსიტეტის სტრატეგიებიდან გამომდინარე, კარგად გვესმის, რომ უნივერსიტეტმა უნდა შეასრულოს მნიშვნელოვანი როლი რეგიონისა და ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

(I) ჩვენი მთავარი მიზანია, რომ „ვირტუალური ლაბორატორიის" მეშვეობით სწავლება გახდეს ღია, საჯარო და ხელმისაწვდომი ადამიანთა სხვადასხვა კატეგორიისადმი.

(II) აღნიშნული სიმულაცია იქნება მრავალფეროვანი, რომლითაც მიეცემათ სტუდენტებს (მოსწავლეებს, აბიტურიენტებს...) სწავლის მოტივაცია და განწყობა, კერძოდ, შეეძლებათ ჩაერთონ სიმულაციებსა და ონლაინ ინტერაქციაში, რომლებიც მათ ქიმიური რეაქციებისა და კონცეფციის უკეთ გაგებაში დაეხმარება.

(III) პროექტის დახმარებით სტუდენტები განავითარებენ, როგორც ინოვაციურ, ისე საგანმანათლებლო ჩვევებს.

(IV) ჩვენი მიზანია, მიეცეთ ახალგაზრდებს შესაძლებლობა ჩაერთონ და შეისწავლონ სწავლების ახალი მეთოდიკები.

(V) პროექტის ძირითადი და მთავარი მიზანია, რომ დაიმსხვრეს სტერეოტიპები მეცნიერებასთან დაკავშირებით. წარმოჩნდეს მეცნიერება, როგორც საინტერესო, ისე სახალისო საგნად ნებისმიერი სპეციალობისთვის.

## გ) **ამოცანები:**

1) შეიქმნას ინოვაციური და ადვილად ხელმისაწვდომი პლატფორმა, რომელიც საშუალებას მისცემს სტუდენტებს და მომხმარებლებს ჩაერთონ სწავლის პროცესში, მაგალითად, ქიმიური რეაქციების, ფიზიკური პროცესების და სხვა მეცნიერებების მოდელირებითა და სიმულაციებით.
2) უზრუნველყოფილი იყოს ვირტუალური ლაბორატორიის ღია, საჯარო და ხელმისაწვდომობა ფართო აუდიტორიისთვის, რაც გულისხმობს არა მხოლოდ სტუდენტებს, არამედ სკოლის მოსწავლეებს, აბიტურიენტებს და პროფესორ/მასწავლებლებს.
3) ვირტუალური ლაბორატორია უნდა იყოს პლატფორმა, რომელიც ხელს შეუწყობს ინოვაციური საგანმანათლებლო მეთოდებისა და ქიმიის, როგორც მეცნიერების, პოპულარიზაციას , რათა სტუდენტებმა შეისწავლონ თანამედროვე და ეფექტური მეთოდების საშუალებით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მეცნიერების დარგი.

## დ) **განხორციელების გზები:**

ჩვენი პროექტი საკმაოდ კომპლექსურია და მოიცავს სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებასაც. პროექტს გამოიყენებს არამარტო ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახვადასხვა ფაკულტეტის სტუდენტები, არამედ სკოლის მოსწავლეები. პროექტი არის ევროპული სტანდარტების მეთოდიკაში ჩასმული, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტებს, რომ შეეძლოთ ამ მეთოდიკების გამოყენება. როგორც ვახსენეთ, პროექტი მოიცავს უამრავ საფეხურსა და ჩართულ პირს. პროექტის წარმატებით განხორციელების უზრუნველსაყოფად დეტალურად გაწერილია ეტაპობრივი ქმედებები, რომლებიც ქრონოლოგიურად და თემატურად უზრუნველყოფს მიზნის მიღწევას.

**პირველ ეტაპზე:** საბაზო და კამპანიის დოკუმენტაციის შედგენა და დამზადება, რაც მოიცავს პროექტთან დაკავშირებული ფორმალური დოკუმენტების შექმნასა და დამტკიცებას. დეველოპერებისა და დიზაინერების CV-ების შეგროვება და შერჩევა, რაც უზრუნველყოფს

პროექტში ჩართული კომპეტენტური კადრების გადარჩევასა და გადანაწილებას. მათი პირობების გათვალისწინება, რაც აუცილებელია ადამიანური რესურსების მოტივაციისა და პასუხისმგებლობისთვის.

**მეორე ეტაპზე:** სასწავლო საინფორმაციო რესურსების შესწავლა, რაც მოიცავს თემატურად შერჩეული მასალების ანალიზსა და სისტემატიზაციას. საკითხების, ანალიტიკასა და ტერმინების შერჩევა, რაც აუცილებელია სწორი მეთოდოლოგიური მიდგომების დასაგეგმად. თემების შერჩევა, რომელზეც აიგება ანიმაციები და სიმულაციები.

**მესამე ეტაპზე:** ინტერნეტში არსებული წყაროების დეტალური შესწავლა და მათგან ინფორმაციის დამუშავება, რაც კვლევის ღრმა ანალიზის საფუძველს ქმნის. მიღებული შედეგების შეფასება და ანალიზი, რომლის საფუძველზე შეიქმნება თამაში. ის აიტვირთება როგორც სოც. ქსელში სხვა დაინტერესებული პირთათვის, ასევე უნივერსიტეტის პორტალზე. ინფორმაციის გამოქვეყნება და სარეკლამო მხარდაჭერა, რაც უზრუნველყოფს პროექტის გავრცელებასა და საზოგადოების ინფორმირებას.

**მეოთხე ეტაპზე (ფინალური):** საინფორმაციო შეხვედრის მოწყობა, პროექტის პრეზენტაცია, რომელზეც მყოფი პირები უკეთ, დეტალებში გაიგებენ პროექტის მიზნებსა და იდეებს. აგრეთვე მიიღებენ სიმბოლურ საჩუქარს პროექტის სახელით. ეს ეტაპი მოიცავს პროექტის დასრულებასა და შეფასებას, რომელიც გულისხმობს შედეგების შეჯამებას, გაწეული სამუშაოს ანალიზსა და ანგარიშის შედგენას.

პროექტის **„ვირტუალური ლაბორატორია - AtomLab“**

**განხორციელების გეგმა-გრაფიკი**
(შესრულების გეგმა)

| | **საგანმანათლებლო მიმართულებით - პროექტის „ვირტუალური ლაბორატორია - AtomLab“ განხორციელების გეგმა-გრაფიკი** | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **N** | **პროექტის განხორციელების ეტაპები და შესაბამისი აქტივობები** | **აპრილი** | **მაისი** | **ივნისი** | **სექტემბერი** | **ოქტომბერი** | **ნოემბერი** | **დეკემბერი** |
| | **ეტაპი I** | | | | | | | |
| **1** | სანდო და გამოცდილი დეველოპერის, დიზაინერის ძიება | აპრილი | | | | | | |
| **2** | დეველოპერებისა და დიზაინერების cv ების გადახარისხება და გასაუბრება | აპრილი | | | | | | |
| **3** | დეველოპერისა და დიზაინერის არჩევა | | მაისი | | | | | |
| | **ეტაპი II** | | | | | | | |
| **1** | სასწავლო სახელმძღვანელოების შესწავლა | | მაისი | | | | | |
| **2** | სიმულაციების, ანიმაციებისა და დიზაინის შედგენა | | | ივნისი | | | | |
| **3** | თამაშის მოდელის შექმნა | | | ივნისი | | | | |
| | **ეტაპი III** | | | | | | | |
| **1** | საინფორმაციო სოც.ქსელის შექმნა | | | | სექტემბერი | | | |
| **2** | აპლიკაციის შექმნა | | | | | ოქტომბერი | | |
| **3** | თამაშის ატვირთვა სოც.ქსელში | | | | | | ნოემბერი | დეკემბერი |
| **4** | სტუდენტურ პორტალზე ატვირთვა | | | | | | ნოემბერი | დეკემბერი |
| | **ეტაპი IV** | | | | | | | |
| **1** | საინფორმაციო შეხვედრა და სტუმრების მოწვევა, ანგარიშის წარდგენა | | | | | | | დეკემბერი |
| **2** | პროექტის დახურვა | | | | | | | დეკემბერი |

**მიზნობრივი ჯგუფები/ბენეფიციარები:**

პროექტი აერთიანებს საქართველოს მასშტაბით მოტივირებულ ახალგაზრდებს. აღსანიშნავია, რომ მოცემულ პროექტს აქტიურად გამოიყენებს რამდენიმე უნივერსიტეტი, სკოლა, კერძო ჯგუფების ხელმძღვანელები თუ სხვა სოციალური ჯგუფები. ამ აპლიკაციას დაახლოებით გამოიყენებენ 300-ზე მეტი ადამიანი.(ხელმძღვანელი, სტუდენტი, სკოლის მოსწავლე თუ პროფესორ/მასწავლებელი) ასევე ზუსტი შედეგების ასაღწერად პროექტში ჩართული არიან საჯარო და კერძო სკოლის მასწავლებლები, უნივერსიტეტის ლექტორები.

**მოსალოდნელი შედეგები:**

პირველ რიგში, ახალგაზრდებისთვის ეს იქნება შანსი, რომ მიიღონ მეტი ინფორმაცია და ჩაერთონ ამ პროექტში. ასევე შეისწავლიან სხვადასხვა შემეცნებით უნარ-ჩვევებსა და ტექნოლოგიურ შესაძლებლობებს. პროექტში ჩართულ პირებს დაეხმარებათ, რომ გამოავლინონ ინტელექტუალური უნარები და სამომავლოდ მათი ცოდნა წარმატებულად გამოიყენონ. აგრეთვე, დაინტერესდებიან სხვადასხვა სკოლის მოსწავლეები. რა თქმა უნდა, პროექტის ხელმძღვანელები ბოლომდე შეეცდებით მაქსიმალურად კარგი შედეგების ჩვენებას. ჩვენი შემართება, რომელიც არის ძლიერი, გულისხმობს იდეის ბოლომდე შესრულებას, რადგან შრომა ყოველთვის ფასდება!

**მონიტორინგი:**

პროექტის სპეციფიკიდან გამომდინარე, როგორც ვიცით, პროექტი გრძელდება 6 თვეს, რომელიც განხორციელდება ჩენს უნივერსიტეტში. პროექტს მონიტორინგს გაუწევს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტი, რომელთაც ჩვენ მივაწვდით საბოლოო ანგარიშს ფოტომასალის სახით.

**შეფასება:**

სიმულაცია განთავსდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტურ პორტალსა და საინფორმაციო სოციალურ ქსელში. ჩვენმა პროექტმა საშუალება მისცა პროექტით დაინტერესებულ პირებს მარტივად და გასაგებად შეესწავლათ მეცნიერების ერთ-ერთი რთული საგანი. პროექტმა ინტერესი გააჩინა არამარტო საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე, არამედ სხვადასხვა სპეციალობის სტუდენტებშიც. თამაში აქტიურად გამოიყენება სწავლების მეთოდებში როგორც განათლების საუნივერსიტეტო საფეხურზე, აგრეთვე სასკოლო სივრცეში.

# პროექტის ბიუჯეტი

| | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | **სტუდენტური პროექტის** „ვირტუალური ლაბორატორია- AtomLab " 2025 წლის **ბიუჯეტი** | | | | | | | | | | | | |
| | **პროექტის** მოკლე აღწერა - | | | | | | | | | | | | |
| N | განსახორციელებელი აქტივობის/ღონისძიების/ხარჯის დასახელება | გასაწევი ხარჯის დეტალური გაანგარიშება | თანხა | მოსალოდნელი საბოლოო შედეგი | საბოლოო შედეგის ინდიკატორ(ებ)ი | ხარჯის გაწევის პერიოდი წლის შესაბამისი თვეების შესაბამისად | | | | | | | |
| | | | | | | მაისი | ივნ | სექ | ოქტ | ნოე | დეკ | | |
| 1 | ვებ-დეველოპერის მომსახურება | მომსახურების ანაზღაურება | 5000 | შეიქმნება ინტერნეტ პლატფორმა, სადაც შესაძლებელი იქნება სიმულაციური ქიმიური ცდების ჩატარება | თამაშის გამართულობა | x | x | x | x | x | | | |
| 2 | ქიმიური რეაქტივები | x | 1000 | აღნიშნული საჭიროება საშუალებას იძლევა, რომ დავამტკიცოთ ლაბორატორიის რეალისტურობა და ხარისხი და პროექტის მომხმარებლები გავანებივროთ იმ ექსპერიმენტებით, რომლებიც მათ სჭირდებათ პროგრამულად და არამარტო. | ცდების თვალსაჩინოება და შედარება ვირტუალურსა და რეალურში. | x | x | x | x | x | | | |
| 3 | სტუდენტთა შრომითი ანაზღაურება | x | 800 | დაკისრებული მოვალეობის მოტივირებულად შესრულება და მიზნის ბოლომდე მიღწევა. | | | | | | | x | | |

„2025 წელს განსახორციელებელი ბსუ-ს სტუდენტური პროექტების დაფინანსების შესახებ“

**ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2025 წლის 30 აპრილის N 01-18/176 ბრძანების**

**დანართი 2**

2025 წელს განსახორციელებელი ბსუ-ს სტუდენტური პროექტი **„ბსუ: სამგანზომილებიანი ხედვა“**

(სტუდენტური საპროექტო განაცხადის ID 124)

(საგანმანათლებლო მიმართულებით)

| | | | |
|---|---|---|---|
| განმცხადებელი | პროექტის ხელმძღვანელის/განმცხადებლის სახელი, გვარი, პირადი ნომერი | დათა კობალაძე (პ/ნ , ნიკა საჯაია (პ/ნ ; | |
| | სტუდენტთა ჯგუფის/გაერთიანების სახელი (ჯგუფის მიერ წარმოდგენილი პროექტის შემთხვევაში) | | |
| | განმცხადებლის ფაქტობრივი მისამართი | ნიკა ს | |
| | საკონტაქტო მობილურის ნომერი | დათა კობალაძე ; ნიკა საჯაია - | |
| | საკონტაქტო ელექტრონული ფოსტა | | |
| პროექტის შესახებ | პროექტის დასახელება (უცხოენოვანი პროგრამის სტუდენტებისთვის ინგლისურად) | „ბსუ: სამგანზომილებიანი ხედვა“ | |
| | პროექტის დაწყებისა და დასრულების თარიღები | დაწყების თარიღი | დასრულების თარიღი |
| | | 01/05/2025 | 15/12/2025 |
| | | (რიცხვი/თვე/წელი) | (რიცხვი/თვე/წელი) |
| | პროექტის მთლიანი ბიუჯეტი | 10 000 ₾ | |
| | თანადაფინანსება | 0₾ | |
| | ბსუ-დან მოთხოვნილი თანხა | 10 000 ₾ | |
| | ხელმოწერა ( პროექტზე პასუხისმგებელი პირი/განმცხადებელი/ხელმძღვანელი) | დ. კობალაძე | |
| | თარიღი | 13/04/2025 | |
| | | რიცხვი/თვე/წელი | |

## პროექტის აღწერა:

ა) **პრობლემის განსაზღვრა:**

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, როგორც დასავლეთ საქართველოს უმნიშვნელოვანესი აკადემიური და საზოგადოებრივი ცენტრი, ინარჩუნებს მდიდარ არქიტექტურულ, კულტურულ და სივრცით მემკვიდრეობას. თუმცა, უნივერსიტეტის ფიზიკური გარემოს – მისი შენობების, შიდა ეზოს, სპორტული ინფრასტრუქტურისა და კულტურულ-საგანმანათლებლო სივრცეების – სრულყოფილი ციფრული და მატერიალური ასლი ამ ეტაპზე არ არსებობს. პროექტის განხორციელების შემთხვევაში, შესაძლებლობა გვექნება გვქონდეს, როგორც ციფრული, შესაბამისად მატერიალური შენობის ასლი.

პროექტის განხორციელება განსაზღვრულია არა მხოლოდ არქიტექტურული და ინჟინერული ასპექტებით, არამედ როგორც საგანმანათლებლო აქტივობა. აღნიშნული საჭიროება განპირობებულია იმ ფაქტით, რომ უნივერსიტეტს ამჟამად არ გააჩნია სრული ციფრული და მატერიალური მაკეტი, რომელიც საშუალებას მისცემს როგორც სტუდენტებს, ასევე ვიზიტორებს სრულყოფილად და ეფექტიანად აღიქვან უნივერსიტეტის ტერიტორია, არქიტექტურა და ინფრასტრუქტურა. სტუდენტებს არ აქვთ საკმარისი შესაძლებლობა მიიღონ ინოვაციური პრაქტიკული გამოცდილება, რაც აუცილებელია მათი პროფესიული მომზადებისთვის. პროექტის ვორკშოფები და მასტერკლასები დაეხმარება სტუდენტებს იმ ცოდნაში, რომელიც მათ, როგორც მომავალი სპეციალისტებს, დაეხმარება ფართო ხედვის გაღრმავებაში, გარდა იმისა, რომ პროექტი ხელმისაწვდომს გახდის ტექნოლოგიურ ინოვაციებს.

ციფრულ ეპოქაში, სადაც ინფორმაციის მიღება და სივრცული გარემოს აღქმა უმეტესწილად ვიზუალურ ფორმატს ეყრდნობა, აღნიშნული დანაკლისის პირობებში არსებითად იზღუდება უნივერსიტეტის პრეზენტირების გამოყენებითი პოტენციალი: სტუდენტებსა და ვიზიტორებს არ ეძლევათ უნივერსიტეტის სივრცის მთლიანობის ვიზუალური აღქმის საშუალება, უნივერსიტეტი კარგავს შესაძლებლობას, წარმოაჩინოს თავისი სივრცითი პოტენციალი როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე. პროექტის განხორციელების შემდეგ, უცხოელ ვიზიტორებს შესაძლებლობა ექნებათ, უკეთ აღიქვან და დაეცნონ, უნივერსიტეტის უნიკალურ არქიტექტურას.

აღნიშნულ პრობლემას პირდაპირ პასუხობს 3D მაკეტის შექმნის ინიციატივა, რომელიც მოიცავს უნივერსიტეტის სრული ტერიტორიის დეტალურ მოდელირებას -- ცენტრალური შენობიდან დაწყებული შიდა ეზოთი, საფეხბურთო და საკალათბურთო მოედნებითა და ღია სივრცეებით დასრულებული. ეს პროექტი არ იქნება მხოლოდ ვიზუალური პროდუქტი. ის გახდება ცოცხალი პლატფორმა, რომელიც დააკავშირებს საგანმანათლებლო, კულტურულ და სპორტულ კომპონენტებს.

საგულისხმოა, რომ პროექტის განხორციელება მოხდება თანამედროვე ტექნოლოგიების – მათ შორის, Creality K1 MAX 3D (იხ. ჩემი სახელოსნო დანართი N1) პრინტერის გამოყენებით, რაც უზრუნველყოფს მაკეტის მაღალი სიზუსტითა და დეტალიზაციით ბეჭდვას. საბოლოოდ, პროექტი არამხოლოდ შეავსებს არსებულ ხარვეზს, არამედ ხელს შეუწყობს ინოვაციური სწავლის, შემოქმედებითი საქმიანობისა და სტუდენტური ჩართულობის ახალ ეტაპზე გადაყვანას.

ბ) **მიზანი:**

წარმოდგენილი პროექტის ძირითადი მიზანია, შეიქმნას ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული სამგანზომილებიანი მაკეტი (გთხოვთ იხ. დანართი N5), რომელიც აერთიანებს უნივერსიტეტის მთელ ინფრასტრუქტურულ გარემოს — მათ შორის ცენტრალურ შენობას (მათ შორის: უნივერსიტეტის N1 და N2 კორპუსს), შიდა ეზოს, სპორტულ მოედნებსა და ღია საზოგადოებრივ სივრცეებს. მაკეტის შეიქმნება თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების და მაღალი სიზუსტის მქონე 3D ბეჭდვის საშუალებით, რაც უზრუნველყოფს არქიტექტურული და სივრცითი ელემენტების ვიზუალურ და ტექნიკურ გამართულობას.

პროექტის მიზანი არა მხოლოდ უნივერსიტეტის არქიტექტურული გარემოს მასშტაბური და ტექნოლოგიურად პრეზენტაციაა, არამედ მისი გამოყენება საგანმანათლებლო, კულტურულ და შემოქმედებით კონტექსტში, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე, ნაგულისხმევია უნიკალური არქიტექტურის ვიზუალური აღქმა, უცხოელ ვიზიტორთათვის. მიზანი ეფუძნება უნივერსიტეტის სივრცის სრულყოფილ და ინოვაციურ მოდელირებას და ამასთან ერთად სტუდენტებისთვის საგანმანათლებლო გამოცდილების გაღრმავებას. სტუდენტების ჩართვა პროექტის ყველა ეტაპზე, რათა ისინი დაეუფლონ თანამედროვე ტექნოლოგიებს და მიიღონ პრაქტიკული გამოცდილება. პროექტის მიმდინარეობისას მოხდება 5-7-მდე ვორქშოპისა და მასტერკლასის ჩატარება არქიტექტურისა და მშენებლობის სტუდენტებისათვის, სადაც თითოეულ შეხვერდრაზე დაესწრება 10-15 სტუდენტი. მოწვეული სპეციალისტი გააცნობს 3D პრინტერთან მუშაობის პრინციპსა და სპეციფიკას, ასევე კომპიუტერული პროგრამების ეფექტიან გამოყენებას იმისათვის, რომ შეიქმნას მაღალი დეტალიზაციის მაკეტი.

მნიშვნელოვანი კომპონენტია სტუდენტური ჩართულობის ხელშეწყობა. არქიტექტურისა და მშენებლობის სპეციალობის სტუდენტებისთვის ჩატარდება სპეციალური მასტერკლასები, როგორც ციფრული მოდელირების, ასევე უშუალოდ 3D ბეჭდვისა და მაკეტის ასაწყობი პროცესების ფარგლებში. ეს მათ მისცემს პრაქტიკული ცოდნის გაღრმავების, ინოვაციური ტექნოლოგიების გაცნობისა და რეალურ სამუშაო გარემოში ჩართულობის საშუალებას.

პროექტის საბოლოო შედეგი იქნება მრავალფუნქციური პლატფორმის შექმნა, რომელიც: ხელს შეუწყობს უნივერსიტეტის სივრცითი მემკვიდრეობის ვიზუალურ რეპრეზენტაციას, გაზრდის სტუდენტების პრაქტიკული უნარების განვითარებას არქიტექტურული მაკეტების შექმნის, დიზაინისა და ბეჭდვის მიმართულებით და უზრუნველყოფს ინოვაციური სწავლის მეთოდების დანერგვას, რომელიც დაფუძნებულია ინტეგრირებულ სივრცით ხედვასა და ტექნოლოგიურ ინჟინერიაზე.

პროექტი წარმოადგენს კომპლექსურ მოდელს, რომელიც აერთიანებს ტექნოლოგიურ ინოვაციას, საგანმანათლებლო ღირებულებასა და უნივერსიტეტის კულტურულ-არქიტექტურული მოდელის თანამედროვე ფორმატში აგებას.

**ამოცანები:**

პროექტის მიზნის ეფექტიანად განხორციელებისათვის, დავისახეთ შემდეგი ამოცანები, რომლებიც წარმოადგენს ეტაპობრივ და თანმიმდევრულ პროცესს:

1. უნივერსიტეტის არქიტექტურულ-სივრცითი გარემოს დეტალური შესწავლა და ციფრული მოდელირება. პროექტის საწყის ეტაპზე განხორციელდება ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მთლიანი ინფრასტრუქტურის (კორპუსი N1-სა და კორპუსი N2-ის) შიდა ეზოს, სპორტული მოედნებისა და ღია სივრცეების არქიტექტურული ანალიზი. მიღებული მონაცემების საფუძველზე შეიქმნება სრული სამგანზომილებიანი ციფრული მოდელი თანამედროვე პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით (მაგ., AutoCAD, SketchUp, Archicad და სხვა);
2. ციფრული მოდელის ტექნოლოგიური ოპტიმიზაცია 3D ბეჭდვისათვის - შექმნილი 3D მოდელის სტრუქტურა ტექნიკურად გადამუშავდება და ოპტიმიზირდება ისე, რომ იყოს სრულად თავსებადი Creality K1 MAX 3D პრინტერთან;
3. 3D ბეჭდვის მასტერკლასების ჩატარება არქიტექტურისა და მშენებლობის სპეციალობის სტუდენტებისთვის;
4. დაბეჭდილი მოდულის ელემენტების დამუშავება და მაკეტის აწყობის ორგანიზება;
5. მაკეტის წარდგენა უნივერსიტეტისა და ფართო საზოგადოებისათვის;

**განხორციელების გზები:**

წარმოდგენილი პროექტის წარმატებით განხორციელება ითხოვს მიზნობრივად დაგეგმილ და თანმიმდევრულ ნაბიჯებს. პროექტი განხორციელდება რამდენიმე ეტაპად, რაც უზრუნველყოფს მის ტექნიკურ, საგანმანათლებლო და ორგანიზაციულ კომპონენტთა კოორდინირებულ ნაბიჯებს.

1. პროექტის საწყისი ეტაპი – კვლევა. პირველ ეტაპზე განხორციელდება უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის სივრცითი და არქიტექტურული დოკუმენტაციის შეგროვება და ვიზუალური მასალის ანალიზი. ამ მონაცემების საფუძველზე განხორციელდება სამგანზომილებიანი მოდელის შედგენა თანამედროვე გრაფიკული პროგრამების გამოყენებით;
2. მოდელის ტექნიკური ოპტიმიზაცია და 3D ბეჭდვისთვის მოსამზადებელი სამუშაოები - შექმნილი ციფრული მოდელი ტექნიკურად გადამუშავდება და დაყოფილ ნაწილებად მოეწყობა ისე, რომ თითოეული ელემენტი იყოს თავსებადი Creality K1 MAX პრინტერის ბეჭდვით შესაძლებლობებთან.
3. ბეჭდვის ეტაპი – პრაქტიკული სამუშაო და სტუდენტური ჩართულობა განხორციელდება უშუალო ბეჭდვის პროცესი Creality K1 MAX 3D პრინტერების გამოყენებით. პარალელურად, არქიტექტურისა და მშენებლობის სპეციალობის სტუდენტებისთვის ჩატარდება ვორქშოპ-მასტერკლასები, რომლებიც მოიცავს როგორც 3D ბეჭდვის ტექნოლოგიის თეორიულ გაცნობას, ისე უშუალო პრაქტიკულ ჩართულობას ბეჭდვის პროცესში.
4. მაკეტის ასაწყობი სამუშაოები და დეტალების დამუშავება - დაბეჭდილი ელემენტების საფუძველზე მოხდება მაკეტის საბოლოო აწყობა, რომლის დროსაც განხორციელდება ელემენტების დამუშავება, შეერთება, საჭიროებისამებრ ფერწერა და საჩვენებელი პლატფორმის მომზადება.
5. პრეზენტაცია და საზოგადოებრივი წარდგენა - საბოლოო მაკეტი განთავსდება უნივერსიტეტის საჯარო სივრცეში(გთხოვთ იხ. დანართი N5), ხოლო მისი წარდგენა განხორციელდება ფართო აუდიტორიისთვის, მათ შორის: უნივერსიტეტის ადმინისტრაციის, პროფესორ-მასწავლებლების, სტუდენტების, საერთაშორისო სტუდენტებისა და ფართო საზოგადოებისთვის.

რაც შეეხება პროექტის მონაწილეებსა და მათ ფუნქციებს:

1. პროექტის ავტორისა და ხელმძღვანელის მხრიდან მოხდება: პროექტის ინიცირება, მოდელირების ძირითადი სამუშაოების შესრულება, კოორდინაცია, პრეზენტაციის მომზადება. ტექნიკური კონსულტანტი: 3D ბეჭდვის პროცესის ზედამხედველობა, მოდელის ეფექტიანი შესრულების უზრუნველყოფა (გიზიარებთ ჩვენს მიერ განხორციელებულ 3D შექმნილ ფიგურებს, გთხოვთ იხ. დანართი N2 და დანართი N3).
2. არქიტექტურისა და მშენებლობის სტუდენტები: მასტერკლასებში მონაწილეობა.
3. სპეციალისტები - აღნიშნულ დარგში მომუშავე პირთან კონსულტაციაა. კონსულტაცია არქიტექტურულ და ტექნიკურ საკითხებზე.
4. უნივერსიტეტის ადმინისტრაცია და PR სამსახური: სივრცის გამოყოფა, ღონისძიებების ორგანიზების ხელშეწყობა და პროექტის საზოგადოებრივი წარდგენა.
5. მედიის ჩართულობა - პროექტის პოპულარიზაცია და ფართო საზოგადოებისთვის გაცნობა.

## პროექტის - „ბსუ: სამგანზომილებიანი ხედვა"

## განხორციელების გეგმა-გრაფიკი
(შესრულების გეგმა)

| N | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | საგანმანათლებლო მიმართულებით პროექტის - „ბსუ: სამგანზომილებიანი ხედვა"<br>განხორციელების გეგმა-გრაფიკი | | | | | | | |
| | პროექტის განხორციელების ეტაპები და შესაბამისი აქტივობები | 1 თვე | 2 თვე | 3 თვე | 4 თვე | 5 თვე | 6 თვე | 7 თვე | 8 თვე |
| | ეტაპი I | მაისი | ივნისი | ივლისი | აგვსტო | სექტემბერი | ოქტომბერი | ნოემბერი | დეკემბერი |
| 1 | უნივერსიტეტის სივრცობრივი და არქიტექტურული მონაცემების შეგროვება, ვიზუალური მასალის ანალიზი და ტერიტორიის დასურათება | + | + | | | | | | |
| 2 | 3D მოდელირების სამუშაოები | + | + | + | | | | | |
| | ეტაპი II | | | | | | | | |
| 1 | ტექნიკური ოპტიმიზაცია და ბეჭდვისთვის მოსამზადებელი პროცესი | | + | + | + | + | | | |
| 2 | ტექნიკური მონიტორინგი ბეჭდვის პროცესში | | + | + | + | + | | | |
| 3 | ხარისხის კონტროლი და გამზადებული ელემენტების შუალედური შენახვა | | + | + | + | + | | | |
| | ეტაპი III | | | | | | | | |
| 1 | არქიტექტურისა და მშენებლობის სტუდენტებისათვის თეორიული და პრაქტიკული ტრენინგების ჩატარება | | | + | + | | + | | |
| 2 | მაკეტის ფიზიკური აწყობა და დიზაინი | | | | + | + | + | | |
| 3 | დაბეჭდილი ელემენტების დამუშავება (გასუფთავება, საჭიროებისამებრ შელებვა) | | + | + | + | + | + | | |
| 4 | მაკეტის ფიზიკური აწყობა, დაფიქსირება და სტრუქტურული გამაგრება | | | | | + | + | | |
| 5 | დიზაინის საბოლოო დეტალების დამუშავება | | | | | | + | + | |
| | ეტაპი IV | | | | | | | | |
| 1 | მაკეტის განთავსება უნივერსიტეტის ტერიტორიაზე | | | | | | | + | |
| 2 | პრეზენტაციის ორგანიზება (უნივერსიტეტის ადმინისტრაცია) | | | | | | | + | |
| 3 | პრეზენტაცია და საზოგადოებისათვის წარდგენა | | | | | | + | + | + |
| 4 | მედიასთან თანამშრომლობა | | | | + | | | + | + |
| | ეტაპი V | | | | | | | | |
| 1 | პროექტის დოკუმენტური მასალის მომზადება | | | | | | | + | + |
| 2 | შესრულების ანგარიში | | | | | | | | + |

**მიზნობრივი ჯგუფები/ბენეფიციარები:**

პირველი რიგში, პროექტის უშუალო ბენეფიციარებს წარმოადგენენ არქიტექტურისა და მშენებლობის სპეციალობის სტუდენტები, რომლებიც პროექტში იქნებიან ჩართული როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ დონეზე. მნიშვნელოვან მიზნობრივ ჯგუფს შეადგენენ უნივერსიტეტის სტუდენტები, ადმინისტრაცია და აკადემიური პერსონალი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პროექტის ღია ხასიათი უცხოელი ვიზიტორებისა და საერთაშორისო პარტნიორებისათვის, რომლებსაც 3D მაკეტი შესთავაზებს უნივერსიტეტის არქიტექტურული მემკვიდრეობისა და საგანმანათლებლო გარემოს იმგვარ ვიზუალურ აღქმას, რომელიც გაზრდის უნივერსიტეტის კულტურულ პრესტიჟსა და აკადემიურ ხილვადობას გლობალურ დონეზე.

**მოსალოდნელი შედეგები:**

წარმოდგენილი პროექტის წარმატებული განხორციელება მნიშვნელოვნად გააფართოებს როგორც უნივერსიტეტის საგანმანათლებლო და პრეზენტაციულ შესაძლებლობებს, ისე სტუდენტური ჩართულობის ხარისხს ინოვაციური პრაქტიკისა და ტექნოლოგიური უნარების განვითარების მიმართულებით.

1. **რაოდენობრივი მაჩვენებელი:**

- სრული 3D მაკეტის შექმნა, რომელიც მოიცავს უნივერსიტეტის მთელ ტერიტორიას: შენობები, შიდა ეზო, სპორტული მოედნები და ღია სივრცეები (გთხოვთ იხ. დანართი N5).
- თითოეულ შეხვედრაზე, ჩართული იქნება 10–15 სტუდენტი არქიტექტურისა და მშენებლობის სპეციალობიდან, რომლებსაც ჩაუტარდებათ მასტერკლასები როგორც 3D მოდელირებაში, ისე ხეჭდვისა და მაკეტის აწყობის პროცესში.
- 3–5 მასტერკლასი/სემინარი, რომელიც მოიცავს თეორიულ და პრაქტიკულ კომპონენტებს — მათ შორის, 3D მოდელირება, G-code კონვერსია, პრინტერის ოპერირება და მაკეტის აწყობის ტექნიკა.
- პროექტის პრეზენტაცია ფართო საზოგადოებაში - უნივერსიტეტში, სადაც მაკეტი წარედგინება აკადემიურ და სტუდენტურ საზოგადოებას.
- 3-ზე მეტი ტელევიზია, მათ შორის სოციალური ქსელები, უნივერსიტეტის ოფიციალური ვებგვერდი, ფოტო/ვიდეო პრეზენტაციები და შესაძლო სატელევიზიო გაშუქება.
- სრულიად უნივერსიტეტის აკადემიური თუ ადმინისტრაციული პერსონალი და სტუდენტები.

2. **თვისებრივი მაჩვენებლები:**

- ინოვაციური უნარების განვითარება – მონაწილე სტუდენტები დაეუფლებიან თანამედროვე 3D ტექნოლოგიების პრაქტიკულ გამოყენებას, რაც გააუმჯობესებს შრომითი ბაზრის უზრუნველყოფას.

- უნივერსიტეტის სივრცის აღქმის გაუმჯობესება – ვიზიტორებს, პირველკურსელებსა და უცხოელ პარტნიორებს ექნებათ შესაძლებლობა, თვალნათლივ შეისწავლონ უნივერსიტეტის არქიტექტურა
- პროექტი აქვს იმის პოტენციალი, რომ განავითაროს ინტერდისციპლინური თანამშრომლობა ტექნოლოგიების დახმარებით იმისათვის, რომ გაიზარდოს სტუდენტების დაინტერესება აღნიშნულ სეგმენტში.

### 3. გავლენა სფეროსა და საუნივერსიტეტო ცხოვრებაზე

- პროექტი ხელს შეუწყობს თეორიული ცოდნის პრაქტიკაში დემონსტრირებას. სპეციალობა - არქიტექტურა შეისწავლის, შემდეგ საგანმანათლებლო კურსებს: მაკეტირება, კომპიუტერული გრაფიკა, საინჟინრო გრაფიკა, არქიტექტურული კომპოზიცია, კომპიუტერული გრაფიკა, ინოვაციები და მეწარმეობის საფუძვლები, ქალაქგეგმარება. სპეციალობაა - მშენებლობა შეისწავლის, შემდეგ საგანმანათლებლო კურსებს: სამშენებლო ხაზვა, კომპიუტერული გრაფიკა, შენობათა არქიტექტურა, დაპროექტების კომპიუტერული სისტემები, ქალაქგეგმარება.
- მაკეტი გახდება ინსტიტუციური იდენტობის მნიშვნელოვანი სიმბოლო.
- სტუდენტური ინიციატივებისა და თვითრეალიზაციის მხარდაჭერა — პროექტი შექმნის ნიადაგს მომავალი ინოვაციური სტუდენტური პროექტების განვითარებისთვის.

**მონიტორინგი:**

პროექტის კომპექსურობიდან გამომდინარე პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკი მიხედვით ვაწარმოებთ შუალედურ აღწერს, რომელიც ნათელს გახდის პროექტის ეფექტიანი განხორციელების დინამიკას ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის. პროექტის მიმდინარეობისას ფოტო-ვიდეო მასალას მივაწვდით სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს და ჩვენს აქტივობებს რეგულარულად გავაშუქებთ სოციალურ ქსელებში. პროექტის თანმიმდევრულ მონიტორინგს განახორციელებს აღნიშნული დეპარტამენტი. დასკვნით ნაწილში, დეპარტამენტს წარვუდგენ პროექტის ფარგლებში განხორციელებულ დეტალურ ეტაპებს, შედეგებს და პროექტის ეფექტიანობას.

**შეფასება:**

1. 3D მაკეტის სრული ვერსიის შექმნა, რომელიც მოიცავს უნივერსიტეტის მთელ ტერიტორიას (შენობები, შიდა ეზო, სპორტული მოედნები, ღია სივრცეებიის შექმნა).
2. ჩატარებული მასტერკლასების რაოდენობა – არანაკლებ 5-7 შეხვედრა ან სემინარი არქიტექტურისა და მშენებლობის მიმართულების სტუდენტებისთვის.
3. მონაწილე სტუდენტების რაოდენობა – თითეული შეხვედრაზე, პროექტში ჩართული იქნება არანაკლებ 10-15 სტუდენტი, რომლებიც გაივლიან როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ მასტერკლასებს.
4. დამთვალიერებელთა და სტუმართა რაოდენობა პრეზენტაციის დღეს – მიზნად დაისახება მინიმუმ 100 ადამიანზე პრეზენტაციის დაფიქსირება (სტუდენტები, აკადემიური პერსონალი, ვიზიტორები, მედიის წარმომადგენლები).
5. მედია-გაშუქების ერთეულები - მედიასაშუალებისა და სოციალური საინფორმაციო კამპანიის წარმოება (სოციალური მედია, ვებგვერდი, ადგილობრივი მედიასაშუალება).

# პროექტის ბიუჯეტი

| | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | სტუდენტური პროექტის - „ბსუ: საამგანზომილებიანი ხედვა" 2025 წლის ბიუჯეტი | | | | | | | | | | | |
| | პროექტის მოკლე აღწერა - ბსუ: საამგანზომილებიანი ხედვის პროექტის განხორციელების შემთხვევაში, შესაძლებლობა გვექნება გვქონდეს, როგორც ციფრული, შესაბამისად მატერიალური შენობის ასლი. პროექტის ვორკშოფები და მასტერკლასები დაეხმარება სტუდენტებს იმ ცოდნაში, რომელიც მათ, როგორც მომავალი სპეციალისტებს, დაეხმარება ფართო ხედვის გაღრმავებაში, გარდა იმისა, რომ პროექტი ხელმისაწვდომს გახდის ტექნოლოგიურ ინოვაციებს. | | | | | | | | | | | |
| N | განსახორციელებელი აქტივობის/ღონისძიების /ხარჯის დასახელება | გასაწევი ხარჯის დეტალური გაანგარიშება | თანხა | მოსალოდნელი საბოლოო შედეგი | საბოლოო შედეგის ინდიკატორ(ებ)ი | ხარჯის გაწევის პერიოდი წლის შესაბამისი თვეების შესაბამისად | | | | | | |
| | | | | | | მაისი-ივნისი | ივლ | აგვ | სექტ | ოქტ | ნოე | დეკ |
| 1 | საბეჭდი მასალა (პლასტმასი) - 3D Printer Filament PLA 1.75mm 1Kg | 60x95 | 5 700₾ | Filament: PLA-ს მეშვეობით 3D მაკეტი გამოვა მაღალი დეტალიზაციის მქონე, სუფთა და კარგად დამუშავებული. | მაკეტის დადგმის უზრუნველყოფა | + | + | + | + | + | | |
| 5 | პლასტმასის მინიატურული ფიგურები | 1x1400 | 1 300₾ | არქიტექტურული მაკეტისთვის მნიშვნელოვანი ფიგურები. | არქიტექტურული მაკეტის სრულყოფა. | + | + | + | + | + | | |
| 6 | ტრენერის შრომის ანაზღაურება | 1x1550 | 1000₾ | სტუდენტებისთვის ვორქშოფებისა და მასტერკლასების ჩატარების უზრუნველყოფა. | სტუდენტების კმაყოფილება. | + | + | + | + | + | | |
| 8 | შრომითი ანაზღაურება, პროექტის ხელმძღვანელი 1 | 1x1000 | 1000 ₾ | ხელმძღვანელის შრომითი ანაზღაურება გაწეული საქმიანობისათვის. | წახალისება, მოტივაცია, ეფექტიანობის ზრდა. | | | | | | + | + |
| 9 | შრომითი ანაზღაურება, პროექტის ხელმძღვანელი 2 | 1x1000 | 1000 ₾ | ხელმძღვანელის შრომითი ანაზღაურება გაწეული საქმიანობისათვის. | წახალისება, მოტივაცია, ეფექტიანობის ზრდა. | | | | | | + | + |

„2025 წელს განსახორციელებელი ბსუ-ს სტუდენტური პროექტების დაფინანსების შესახებ“

**ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2025 წლის 30 აპრილის N 01-18/176 ბრძანების**

**დანართი 3**

2025 წელს განსახორციელებელი ბსუ-ს სტუდენტური პროექტი - **„მოძრავი ქიმიური ლაბორატორია“**

(სტუდენტური საპროექტო განაცხადის ID 119)

(საგანმანათლებლო მიმართულებით)

| | | | |
|---|---|---|---|
| განმცხადებელი | პროექტისხელმძღვანელის/განმცხადებლის სახელი, გვარი, პირადინომერი | ანა ჯინჭარაძე (პ/ნ | |
| | სტუდენტთა ჯგუფის/გაერთიანების სახელი (ჯგუფის მიერ წარმოდგენელი პროექტის შემთხვევაში) | | |
| | განმცხადებლის ფაქტობრივიმისამართი | | |
| | საკონტაქტო მობილურის ნომერი | | |
| | საკონტაქტო ელექტრონულიფოსტა | | |
| პროექტის შესახებ | პროექტისდასახელება (უცხოენოვანიპროგრამისსტუდენტებისთვისინგლისურად) | „მოძრავი ქიმიური ლაბორატორია“ | |
| | პროექტისდაწყებისადადასრულებისთარიღები | დაწყების თარიღი | დასრულების თარიღი |
| | | 01/05/2025 | 15/12/2025 |
| | | (რიცხვი/თვე/წელი) | (რიცხვი/თვე/წელი) |
| | პროექტისმილიანიბიუჯეტი | 3060 | |
| | თანადაფინანსება | | |
| | ბსუ-დანმოთხოვნილითანხა | 3060 | |
| | ხელმოწერა (პროექტზეპასუხისმგებელიპირი/განმცხადებელი/ხელმძღვანელი) | პროფესორი მ. ვანიძე | |
| | თარიღი | 8/04/2025 | |
| | | რიცხვი/თვე/წელი | |

## პროექტის აღწერა:

ა) **პრობლემის განსაზღვრა**:

მეცნიერება და განსაკუთრებით ქიმია უფრო ნაკლებად პოპულარულია, ვიდრე სოციალური და კულტურული დისციპლინები. მოსწავლეებს არ აქვთ საკმარისი ინტერესი და მოტივაცია ქიმიის შესწავლის მიმართ, რადგან ისინი ვერ ხედავენ ამ მეცნიერების როლს საზოგადოებრივ ცხოვრებაში (მაგალითად, ეკოლოგიური პრობლემები, ახალი მედიკამენტების შექმნა და სხვა). მოსწავლეები, რომლებიც სწავლობენ მხოლოდ თეორიას, ნაკლებად ინტერესდებიან ამ სფეროთი. ქიმია აღიქმება როგორც რთული და ნაკლებად პრაქტიკული საგანი, რის გამოც შედარებით ცოტა მოსწავლე ირჩევს მას სამომავლო პროფესიად. საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში განათლების ხარისხი ემყარება არა მხოლოდ თეორიულ ცოდნას, არამედ პრაქტიკულ გამოცდილებასაც. ქიმია როგორც პრაქტიკული მეცნიერება განსაკუთრებით საჭიროებს ლაბორატორიულ სამუშაობს.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს გააჩნია სკოლებთან თანამშრომლობის გამოცდილება. უნივერსიტეტი ხშირად მასპინძლობს სხვადასხვა რეგიონის სკოლის მოსწავლეებს, რომლებიც განსაკუთრებულ ინტერესს იჩენენ ლაბორატორიაში ჩატარებული ცდებისა და ექსპერიმენტების მიმართ, თუმცა დასავლეთ საქართველოს უმეტესი სკოლის მოსწავლე მოკლებულია როგორც მსგავს შესაძლებლობას ,ისე ქიმიის შესწავლას ექსპერიმენტული კუთხით. სკოლების უმრავლესობაში არ არის კაბინეტ-ლაბორატორიები და საჭირო ინვენტარი, ეს კი შეუძლებელს ხდის პრაქტიკულ სწავლებას, რაც ზღუდავს მოსწავლეების ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების განვითარებას, ამიტომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უნივერსიტეტის ჩართულობა აღნიშნული პრობლემის გადაჭრაში. საჭიროა არა მხოლოდ სტუდენტების არამედ პოტენციური სტუდენტების მხარდაჭერაც.პროექტი ითვალისწინებს უნივერსიტეტის მესამე მისიას, რომელიც გულისხმობს უნივერსიტეტის ჩართულობას საზოგადოების ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ განვითარებაში, კონკრეტული აქტივობების შესრულებითა და კომუნიკაციის გზით უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და ფართო საზოგადოების თანამშრომლობას ადგილობრივ, რეგიონულ, ეროვნულ და გლობალურ დონეზე. სკოლებთან თანამშრომლობით და იმ საგანმანათლებლო რესურსების გაზიარებით, რომელსაც უნივერსიტეტი სთავაზობს სტუდენტებს, შესაძლებელია უკეთესი განათლების პირობების შექმნა სკოლებში, რაც საბოლოო ჯამში ხელს შეუწყობს მოსწავლეების მეცნიერებით დაინტერესების პროცესს.

საგანმანათლებლო პროექტის ,, მოძრავი ქიმიური ლაბორატორია'' ფარგლებში დასავლეთ საქართველოს რამდენიმე რეგიონის სკოლის მოსწავლეებს შესაძლებლობა ექნებათ გაეცნონ და უშუალოდ ჩაერთონ სხვადასხვა პროგრამულ თუ არაპროგრამულ, სახალისო ცდაში, რომლებიც დაეხმარებათ ცოდნის გაღრმავებაში, ცნობისმოყვარეობის გაღვივებაში, მოტივაციისა და საგნის მიმართ ინტერესის გაზრდაში. სასწავლო პროცესი გახდება უფრო დასამახსოვრებელი და ინტერაქტიული. ამავე დროს აღნიშნული პროექტი პოტენციურ სტუდენტებს გაუხსნის გზას უნივერსიტეტისაკენ.

ბ) **მიზანი:**

პროექტის მიზანია უნივერსიტეტის მესამე მისიის ფარგლებში, რომელიც გულისხმობს საზოგადოების ჩართულობას ან საზოგადოების კეთილდღეობის ხელშეწყობას, ვითანამშრომლოთ სკოლებთან. ცდების, ექსპერიმენტებისა და სტუდენტთა საბაკალავრო პროექტების გამოყენებით მოსწავლეებს დავანახოთ მეცნიერების( ქიმიის) როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ეს ხელს შეუწყობს საბუნებისმეტყველო საგნების კერძოდ, ქიმიის პოპულარიზაციას.

## გ) **ამოცანები:**

**პროექტის განსახორციელებლად გადასაჭრელი შემდეგი ამოცანებია:**

1. პროექტის მონაწილეთა საინფორმაციო შეხვედრა. ქიმიური ექსპერიმენტების შერჩევა, მათი უსაფრთხოების და საგანმანათლებლო ღირებულების შეფასება, ექსპერიმენტისთვის საჭირო რესურსების მოძიება(ჭურჭელი, რეაქტივები); ინტერაქტიული აქტივობების დაგეგმვა.
2. ფოკუს ჯგუფების შერჩევა (ხულოს, ქედის, შუახევის, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტების სკოლები).
3. სკოლებში ვიზიტი. ექსპერიმენტების განხორციელება და სტუდენტების მიერ ჩატარებული კვლევების პრეზენტაცია. მოსწავლეთა ჩართვა სხვადასხვა შემეცნებით აქტივობაში.
4. პროექტის შედეგების განთავსება ფაკულტეტის ვებ-გვერდზე ვიზუალური მასალის გამოყენებით და პროექტის ანგარიშის შედგენა.

## დ) **განხორციელების გზები:**

პროექტის განხორციელებაში მონაწილეობენ ქიმიის საბაკალავრო პროგრამის პირველი და მე-2 კურსის სტუდენტები, კონსულტირებას უწევს უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალი.

1-ლი და მე-2 ამოცანების განხორციელებაში მონაწილეობას მივიღებთ სტუდენტები, კონსულტირებას გაგვიწევენ დეპარტამენტის აკადემიური და მოწვეული პერსონალი. ჩვენს მიერ შეგროვებული იქნება საგანმანათლებლო და სახალისო ექსპერიმენტები, ექსპერიმენტის განსახორციელებლად საჭირო მასალები, დეტალურად იქნება აღწერილი ექსპერიმენტების ჩატარების თანმიმდევრობა, შერჩეული და ჩამოყალიბებული იქნება მოსწავლეთათვის განკუთვნილი ინტელექტუალური აქტივობები, რისთვისაც მოვაწყობთ საინფორმაციო შეხვედრას.

მე-3 ამოცანის განხორციელებაში სტუდენტებთან ერთად ჩართულები იქნებიან ხულოს, ქედის, შუახევის და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტების რამდენიმე სკოლის მოსწავლეები, რომლებიც თავად მიიღებენ მონაწილეობას ექსპერიმენტულ და გასართობ-შემეცნებით აქტივობებში(მაგალითად: ვიქტორინა, ქვიზი და სხვა).

მე-4 ამოცანის შესასრულებლად კვლავ ჩატარდება საინფორმაციო შეხვედრა, სადაც განვიხილავთ პროექტის შედეგებს და წარმოვადგენთ პროექტის ანგარიშს.

პროექტის - „მოძრავი ქიმიური ლაბორატორია“

**განხორციელების გეგმა-გრაფიკი**

(შესრულების გეგმა)

| | **საგანმანათლებლო მიმართულებით** პროექტის - „მოძრავი ქიმიური ლაბორატორია“<br>**განხორციელებისგეგმა-გრაფიკი** | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **N** | **პროექტის განხორციელების ეტაპები და შესაბამისი აქტივობები** | **1 თვე** | **2 თვე** | **3 თვე** | **4 თვე** | **5 თვე** | **6 თვე** |
| | **ეტაპი I** | | | | | | |
| 1 | პროექტის მონაწილეთა საინფორმაციო შეხვედრა. ქიმიური ექსპერიმენტების შერჩევა, მათი უსაფრთხოების, საგანმანათლებლო ღირებულების შეფასება. | | | | | | |
| 2 | ექსპერიმენტისთვის საჭირო რესურსების მოძიება(ჭურჭელი, რეაქტივები); ინტერაქტიული აქტივობების დაგეგმვა, ფოკუს ჯგუფების შერჩევა. | | | | | | |
| | **ეტაპი II** | | | | | | |
| 1 | ხულოს მუნიციპალიტეტის სკოლებში ვიზიტი. ექსპერიმენტების განხორციელება და სტუდენტების მიერ ჩატარებული კვლევების პრეზენტაცია.მოსწავლეთა ჩართვა სხვადასხვა შემეცნებით აქტივობებში. | | | | | | |
| | **ეტაპი III** | | | | | | |
| 1 | ქედის მუნიციპალიტეტის სკოლებში ვიზიტი. ექსპერიმენტების განხორციელება და სტუდენტების მიერ ჩატარებული კვლევების პრეზენტაცია.მოსწავლეთა ჩართვა სხვადასხვა შემეცნებით აქტივობებში. | | | | | | |
| 2 | შუახევის მუნიციპალიტეტის სკოლებში ვიზიტი. ექსპერიმენტების განხორციელება და სტუდენტების მიერ ჩატარებული კვლევების პრეზენტაცია.მოსწავლეთა ჩართვა სხვადასხვა შემეცნებით აქტივობებში. | | | | | | |
| | **ეტაპი IV** | | | | | | |
| 1 | ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სკოლებში ვიზიტი. ექსპერიმენტების განხორციელება და სტუდენტების მიერ ჩატარებული კვლევების პრეზენტაცია.მოსწავლეთა ჩართვა სხვადასხვა შემეცნებით აქტივობებში. | | | | | | |
| 2 | პროექტის შედეგების ანგარიში | | | | | | |

**მიზნობრივი ჯგუფები/ბენეფიციარები:**

დასავლეთ საქართველოს რამდენიმე რეგიონის სხვადასხვა სკოლის მოსწავლეები, რომლებიც სწავლობენ საბუნებისმეტყველო მიმართულების დისციპლინებს.

**მოსალოდნელი შედეგები:**

უფრო მეტი მოსწავლე დაინტერესდება მეცნიერებით, რაც ხელს შეუწყობს ქიმიის პოპულარიზაციას. ბ) განმტკიცდება კავშირი სკოლასა და უნივერსიტეტს შორის, რაც საშუალებას იძლევა განხორციელდეს უნივერსიტეტის მესამე მისია და გაიზარდოს უნივერსიტეტის ჩართულობა საზოგადოებაში. პროექტში მონაწილეობენ როგორც დამწყები ქიმიკოსები, ასევე გამოცდილი მეცნიერები, რაც დაეხმარება სტუდენტებს იმ უნარების შეძენაში, რომლებიც საჭიროა ექსპერიმენტების ორგანიზებისა და სწავლებისთვის, ასევე პრაქტიკული უნარ-ჩვევების, საზოგადოებასთან კომუნიკაციისა და ჯგუფში მუშაობის უნარების გამომუშავებაში. ეს კი განაპირობებს მათ ჩამოყალიბებას პროფესიონალებად.

**მონიტორინგი:**

პროექტის შესრულების მონიტორინგი შეიძლება განხორციელდეს ეტაპების მიხედვით აქტივობების დამადასტურებელი დოკუმენტებით, როგორიცაა ფოტო და ელექტრონული მასალა, პროექტის დასრულების შემდეგ კი დეტალური ანგარიშით განხორციელებული ექსპერიმენტებისა და მიღებული შედეგების შესახებ.

**შეფასება:**

პროექტის წარმატებას განაპირობებს სტუდენტების, აკადემიური პერსონალისა და მოსწავლეების ერთობლივი ჩართულობა პროექტის განხორციელების ეტაპებზე.

# სტუდენტური პროექტის ბიუჯეტი

| | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | **სტუდენტური პროექტის - „მოძრავი ქიმიური ლაბორატორია“ 2025 წლის ბიუჯეტი** | | | | | | | | | | | |
| | **პროექტის მოკლე აღწერა -** პროექტი ითვალისწინებს უნივერსიტეტის მესამე მისიას, რომლის ფარგლებშიც დასავლეთ საქართველოს რამდენიმე სკოლის მოსწავლეებს, რომლებიც მოკლებული არიან ქიმიის შესწავლას ექსპერიმენტული კუთხით, შესაძლებლობა ექნებათ მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა ექსპერიმენტულ-ინტელექტუალურ აქტივობაში, რაც ხელს შეუწყობს მათი მეცნიერებით დაინტერესების პროცესს და ქიმიის პოპულარიზაციას. | | | | | | | | | | | |
| N | განსახორციელებელი აქტივობის/ღონის ძიების/ხარჯის დასახელება | გასაწევი ხარჯის დეტალური გაანგარიშება | თანხა | მოსალოდნელი საბოლოო შედეგი | საბოლოო შედეგის ინდიკატორ(ებ)ი | ხარჯის გაწევის პერიოდი წლის შესაბამისი თვეების შესაბამისად | | | | | | |
| | | | | | | მაისი | ივნისი | ივლისი | სექტემბერი | ოქტომბერი | ნოემბერი | დეკემბერი |
| 1 | რეაქტივები და მასალები | მეტალური ნატრიუმი, ფენოფტალეინი,კალიუმის იოდიდი, წყალბადის პეროქსიდი 50%-იანი, მანგანუმის დიოქსიდი, ამონიუმის ბიქრომატი, ინდიკოგამინი, მარილმჟავა, გოგორდმჟავა, ძმარმჟავა, გლუკოზა, კალიუმის პერმანგანატი, ტყვიის ნიტრატი, რკინის(III) ქლორიდი, იოდი, ფოლგა, ბუნებრივი ფერადი საღებავი, ერთჯერადი ხალათები 10ცალი, ხელთათმანები 5 შეკვრა. | 1500 | პროექტის მიმდინარეობისას რეაქტივების და მასალების გამოყენება ექსპერიმენტების განსახორციელებლად. | განხორციელებული ექსპერიმენტების ატვირთვა ფაკულტეტის ვებ-გვერდზე ფოტო მასალის სახით. | + | + | + | + | | | |
| 2 | ტრანსპორტირება რეგიონებში | ხულო, ქედა, შუხევი, ჩოხატაური. | 1560 | | | | | | + | + | + | + |

„2025 წელს განსახორციელებელი ბსუ-ს სტუდენტური პროექტების დაფინანსების შესახებ“

**ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2025 წლის 30 აპრილის N 01-18/176 ბრძანების**

**დანართი 4**

2025 წელს განსახორციელებელი ბსუ-ს სტუდენტური პროექტი **„ვიზიტები სახელმწიფო სტრუქტურებში“**

(სტუდენტური საპროექტო განაცხადის ID 118)

(საგანმანათლებლო მიმართულებით)

| | | | |
|---|---|---|---|
| განმცხადებელი | პროექტის ხელმძღვანელის/განმცხადებლის სახელი, გვარი, პირადი ნომერი | მარიამ ანთაძე (პ/ნ | |
| | სტუდენტთა ჯგუფის/გაერთიანების სახელი (ჯგუფის მიერ წარმოდგენილი პროექტის შემთხვევაში) | | |
| | განმცხადებლის ფაქტობრივი მისამართი | | |
| | საკონტაქტო მობილურის ნომერი | | |
| | საკონტაქტო ელექტრონული ფოსტა | | |
| პროექტის შესახებ | პროექტის დასახელება (უცხოენოვანი პროგრამის სტუდენტებისთვის ინგლისურად) | „ვიზიტები სახელმწიფო სტრუქტურებში“ | |
| | პროექტის დაწყებისა და დასრულების თარიღები | დაწყების თარიღი | დასრულების თარიღი |
| | | 01-06-2025 | 15-12-2025 |
| | | (რიცხვი/თვე/წელი) | (რიცხვი/თვე/წელი) |
| | პროექტის მთლიანი ბიუჯეტი | 10 500 | |
| | თანადაფინანსება | 0 | |
| | ბსუ-დან მოთხოვნილი თანხა | 10 500 | |
| | ხელმოწერა ( პროექტზე პასუხისმგებელი პირი/განმცხადებელი/ხელმძღვანელი) | მ. ანთაძე | |
| | თარიღი | 08/04/2025 | |
| | | რიცხვი/თვე/წელი | |

## პროექტის აღწერა:

**პრობლემის განსაზღვრა**:

სტუდენტთა და სახელმწიფო უწყებებს (საქართველოს პარლამენტი, ცესკო, სახელმწიფო კანცელარია, განათლების მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო ) შორის ეფექტური მუნიკაცია უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს სტუდენტთა თეორიული ცოდნის პრაქტიკაში მოსაყვანად, სამოქალაქო ჩართულობის და მოქალაქეობრივი თვითშეგნების გასაძლიერებლად, მმართველობის პროცესების გაგების გათვალსაჩინოებლად, სახელმწიფო უწყებათა სტრუქტურის შესასწავლად, მუშაობის პრინციპის გასაგებად და სამოქალაქო პასუხისმგებლობის მქონე მოქალაქის ჩამოსაყალიბებლად. თუმცა, სტუდენტთა წინაშე მდგარი მნიშვნელოვანი გამოწვევაა - რეგიონალურ/ცენტრალურ სახელმწიფო უწყებებთან პირდაპირი ურთიერთობისა და კომუნიკაციის ნაკლებობა და თეორიული ცოდნის პრაქტიკაში მოყვანის შესაძლებლობა. აღნიშნული გარემოება ქმნის ინფორმაციულ ვაკუუმს და პრაქტიკის ნაკლებობას: სახელმწიფო ორგანოების ფუნქციონირებაზე, კარიერულ განვითარებაზე, პოლიტიკის შემუშავების პროცედურაზე, საჯარო მოხელეების როლებსა და პასუხისმგებლობებზე. პროექტის ფარგლებში უწყების სპეციფიკიდან გამომდინარე პრიორიტეტი მიენიჭებათ შესაბამისი სპეციალობის სტუდენტებს. პროექტი ჩატარდება ორ ეტაპად_ პირველი ეტაპი ჩატარდება ბათუმში, გაიმართება ფორუმი, სადაც სტუდენტები შეხვდებიან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უწყებების წარმომადგენლებს (განათლების მინისტრი, ეკონომიკის მინისტრი, ჯანდაცვის მინისტრი და სხვა), გვექნება პანელური შეხვედრა, სადაც სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებსა და ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს შორის გაიმართემა დისკუსიები სხვადასხვა თემებზე. პროექტის მეორე ეტაპზე_სტუდენტები ესტუმრებიან დედაქალაქს და ეწვევიან სახელმწიფო უწყებებსა და შეხვდებიან მათ წარმომადგენლოებს.

**მიზანი:**

სახელმწიფო უწყებათა საქმიანობის გაგება სტუდენტებს დაეხმარება ინფორმირებული და პასუხისმგებლიანი მოქალაქეებად ჩამოყალიბებაში. ამის მიღწევის ერთ-ერთი ეფექტური გზაა სახელმწიფო დაწესებულებებში ორგანიზებული ვიზიტები და მათი ,,შიდა სამზარეულოს" გაცნობა. ეს პროექტი მიზნად ისახავს: სტუდენტთა ცნობიერების ამაღლებას, სამოქალაქო-დემოკრატიული საკითხების პოპულარიზაციას და კარიერული განვითარების მხარდაჭერას.

**სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება:**

ეს პროექტი ხელს შეუწყობს სტუდენტებს, რეგიონალური და ცენტრალური საკითხების, სახელმწიფოს განვითარების პროექტებისა და ინიციატივების შესახებ ცნობიერების ამაღლებას, რის შედეგადაც მათ ექნებათ შესაძლებლობა გახდნენ ადგილობრივი მმართველობისა და თემის საქმეების აქტიური მონაწილენი.

**დემოკრატიულ საკითხთა პოპულარიზაცია**

ეს პროექტი ხელს შეუწყობს სტუდენტებს დემოკრატიული საკითხების უკეთ გაგებაში და მათი, როგორც მოქალაქის როლის და უფლებების გაგაებაში სახელმწიფო უწყებათა დაკავშირებით. შესაბამისად, სახელმწიფო უწყებებთან მნიშვნელოვანი ჩართულობა აღძრავს სამოქალაქო პასუხისმგებლობის გრძნობას და წაახალისებს სტუდენტებს პოზიტიური წვლილი შეიტანონ თავიანთ თემებში.

**კარიერული შესაძლებლობების პოპულარიზაცია:**

ამ პროექტის მეშვეობით მათთვის უფრო თვალსაჩინო იქნება უწყებათა სტრუქტური გაცნობა და მუშაობის პრინციპის გაგება. სახელმწიფო მოხელეებთან შეხვედრა და რეგიონულ სააგენტოებში სხვადასხვა როლების გაცნობა აუცილებელია იმისათვის, რომ სტუდენტებს მისმემს მოტივაციას განიხილონ კარიერა საჯარო სამსახურებში თუ ადმინისტრაციაში. მსგავსი ხასიათის შეხვედრა მნიშვნელოვანია, იმდენად რამდენადაც სტუდენტებმა შეიძლება არ იცოდნენ საჯარო სექტორში პოტენციური კარიერული გზების შესახებ.

**ამოცანები:**

პროექტის განმავლობაში შეირჩევიან სტუდენტები, რომლებსაც საშუალება ექნებათ ეწვიონ საქართველოს სახელმწიფო სტრუქტურებს ((საქართველოს პარლამენტი, ცესკო, სახელმწიფო კანცელარია, განათლების მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო)

**ბათუმი:**

ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართება ფორუმი, მოვიწვევთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებს.

**თბილისი:**

1. სტუდენტები ეწვევიან საქართველოს პარლამენტს. მოინახულებენ საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მკითხველთა დარბაზს და წიგნების მუზეუმს. გაეცნონიან სათათბირო და სასესიო დარბაზების მნიშვნელობასა და ისტორიას. ასევე გაიმართება საინფორმაციო შეხვედრა ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტთან.
2. სტუდენტები ეწვევიან საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, სადაც საშუალება ექნებათ მიიღონ ინფორმაცია წინასაარჩევნო სამზადისის შესახებ, გაეცნონ ინოვაციებსა და ელექტრონული არჩევნების პრინციპს. ასევე, გაიზიარონ პრაქტიკული გამოცდილება.
3. სტუდენტები ეწვევიან ს სახელმწიფო კანცელარიას
4. სტუდენტები ეწვევიან  განათლების მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, სადაც ექნებათ საშუალება გაეცნონ მიმდინარე პროექტებს და სხვადასხვა შესაძლებლობებს.

**განხორციელების გზები:**

1. სტუდენტმა უნდა დააფიქსიროს მოთხოვნა, სარეგისტრაციო ფორმის მეშვეობით, წარმოადგინოს სამოტივაციო წერილი, რომელიც გამოავლენს მის მონდომებას, პროექტში ჩართულობასთან დაკავშირებით, სურვილისამებრ წარმოადგინოს CV ქართულ ენაზე, რომლითაც

თითოეულ უწყებებში ვიზიტის ფარგლებში შეირჩევა 30-მდე სტუდენტი (კითხვარი განთავსდება სოციალურ ქსელში, საინფორმაციო დაფებსა და BSU-ს პორტალზე).

2. შევუთანხმდები სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენელებს, მათთან კომუნიკაციის დახმარებით ერთიანად დავგეგმავ ვიზიტები, შემდგომ სტრუქტურებში: საქართველოს პარლამენტი, ცესკო, სახელმწიფო კანცელარია, განათლების მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო. სტუდენტები შეხვდებიან სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლებს, რომლებიც მონაწილეობას იღებენ პოლიტიკის დაგეგმვასა და განხორციელებაში. მათგან პირადად მიიღებენ ინფორმაციას და დაესწრებიან იმიტირებულ პროცესებს, რის მეშვეობით საშუალება მიეცემათ გამოავლინონ მათი თეორიული ცოდნა პრაქტიკაში (საპარლამენტო, საარჩევნო თუ სასამართლო).

**პროექტის – „ვიზიტები სახელმწიფო სტრუქტურებში“ განხორციელების გეგმა-გრაფიკი**
**(შესრულების გეგმა)**

| | საგანმანათლებლო მიმართულებით<br>პროექტის - „ვიზიტები სახელმწიფო სტრუქტურებში“ განხორციელების გეგმა-გრაფიკი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **N** | **პროექტის განხორციელების ეტაპები და შესაბამისი აქტივობები** | **1 თვე** | **2 თვე** | **3 თვე** | **4 თვე** | **5 თვე** | **6 თვე** |
| | **ეტაპი I** | | | | | | |
| **1** | შევქმნი ელექტრონულ სარეგისტრაციო ფორმას. | ივნისი | | | | | |
| **2** | ჩავატარებ საინფორმაციო შეხვედრას სტუდენტებთან პროექტის შესახებ და გავაცნობ პირობებს. | ივნისი | ივლისი | | | | |
| **3** | მონაწილეთა შერჩევა | ივნისი | | | | | |
| **4** | შედეგების გამოქვეყნება | ივნისი | ივლისი | | | | |
| | | | | | | | |
| | | | | | | | |
| | **ეტაპი II** | | | | | | |
| **1** | ფორუმი (ბათუმი) | ივნისი | ივლისი | | | | |
| | | | | | | | |
| | | | | | | | |
| | **ეტაპი III** | | | | | | |
| **1** | ვიზიტი სახელმწიფო უწყებებში (თბილისი) | ივნისი | ივლისი | აგვისტო | სექტემბერი | ოქტომბერი | ნოემბერი |
| | | | | | | | |

**მიზნობრივი ჯგუფები/ბენეფიციარები:**

პროექტის სამიზნე ჯგუფია უნივერსიტეტის სტუდენტები, რომლებიც დაინტერესებულნი არიან სახელმწიფოს მართავა-გამგეობისა და პოლიტიკის შემუშავების პროცესით, ასევე სამოქალაქო აქტივიზმისა და დემოკრატიული მართველობის პროცესებით.

**მოსალოდნელი შედეგები:**

აღნიშნული პროექტის დახმარებით სტუდენტები განივითარებენ პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს, რაც მათ დაეხმარება სწავლის პროცესის გაუმჯობესებაში. მიღებულ ცოდნასა და გამოცდილებას გააზიარებენ თავიანთ თემში, ასევე უნივერსიტეტში, წაახალისებენ სამოქალაქო აქტივიზმს და ექნებათ საშუალება გაეცნონ სახელმწიფო სტრუქტურების „შიდა სამზარეულოს''. სტუდენტები აგრეთვე უფრო მოტივირებულნი იქნებიან, რომ თავიანთი კარიერა საჯარო უწყებებს დაუკავშირონ და წვლილი შეიტანონ დემოკრატიული სახელმწიფოს განვითარებაში.

**მონიტორინგი:**

თითოეულ შეხვედრაზე ვაწარმოებ დამსწრე საზოგადოების სარეგისტრაციო ანკეტას, რომელიც ნათელს გახდის სტუდენტების ჩართულობას ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის. პროექტის მიმდინარეობისას ფოტო-ვიდეო მასალას მივაწვდით სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს და ჩვენს აქტივობებს რეგულარულად გავაშუქებთ სოციალურ ქსელებში. დასკვნით ნაწილში, დეპარტამენტს წარვუდგენ პროექტის ფარგლებში განხორციელებულ დეტალურ ეტაპებს, შედეგებს და პროექტის ეფექტიანობას.

**შეფასება:**

სტუდენტებსა და სახელმწიფო სტრუქტურებს შორის დაახლოება აუცილებელია სტუდენტების პრაქტიკული ცოდნის გასაძლიერებლად, სამოქალაქო ჩართულობისა და მოქალაქეობრივი როლის გასაგებად. იმისათვის, რომ აქტიურად მიიღონ მონაწილეობა თავიანთი თემისა და მთლიანად საზოგადოების მომავლის ფორმირებაში. პროექტი, რომელიც ხელს უწყობს რეგიონულ/ცენტრალურ სახელმწიფო სტრუქტურებში ვიზიტებს, წარმოადგენს მნიშვნელოვან ნაბიჯს კომუნიკაციის პრობლემების გადალახვისა და სტუდენტებსა და მათ რეგიონალურ სამთავრობო უწყებებს შორის უფრო მჭიდრო კავშირის გაძლიერდებას.

# პროექტის ბიუჯეტი

| | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | **სტუდენტური პროექტის „ვიზიტები სახელმწიფო სტრუქტურებში“ 2025 წლის ბიუჯეტი** | | | | | | | | | | | |
| | **პროექტის მოკლე აღწერა - ბსუ-ს სტუდენტების შერჩევა სახელმწიფო უწყებებში ვიზიტისა და უწყებათა მუშაობის პრინციპის გასაცნობად** | | | | | | | | | | | |
| N | განსახორციელებელი აქტივობის/ ღონისძიების/ ხარჯის დასახელება | გასაწევი ხარჯის დეტალური გაანგარიშება | თანხა | მოსალოდნელი საბოლოო შედეგი | საბოლოო შედეგის ინდიკატორ(ებ)ი | ხარჯის გაწევის პერიოდი წლის შესაბამისი თვეების შესაბამისად | | | | | | |
| | | | | | | ივნისი | ივლისი | აგვისტო | სექტემბერი | ოქტომბერი | ნოემბერი | დეკემბერი |
| 1 | ტრანსპორტირება | ორი ოც კაციანი ტრანსპორტი. | 3000 | ტრანსპორტირება ბათუმიდან თბილისამდე, სახელმწიფო უწყებებსა და სასტუმროში მისასვლელად. თბილისიდან ბათუმში დაბრუნება. | კომფორტული მგზავრობა | + | + | + | + | + | + | + |
| 2 | სასტუმრო / განთავსება | 30 – 35 ადამიანზე გათვლილი სასტუმრო, ორი ღამით, საუზმით უზრუნველყოფილი. | 3500 | სტუდენთა განთავსება სასტუმროში. | უწყებებში ვიზიტის შემდგომ დასვენება, სტუდენტთა კმაყოყოფილება | + | + | + | + | + | + | + |
| 3 | კვება | სადილისა და ვახშამის უზრუნველსაყოფად. | 3000 | კვების უზრუნველყოფა. | სტუდენტთა ენერგიის აღდგენა და კმაყოფილება | + | + | + | + | + | + | + |
| 4 | პროექტის ხელმძღვანელის შრომის ანაზღაურება | პროექტის ხელმძღვანელის ანაზღაურება | 1000 | წახალისება, მოტივაცია, ეფექტიანობის ზრდა. | სტუდენტის კმაყოფილება | + | + | + | + | + | + | + |

„2025 წელს განსახორციელებელი ბსუ-ს სტუდენტური პროექტების დაფინანსების შესახებ“

**ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2025 წლის 30 აპრილის N 01-18/176 სრულებების**

**დანართი 5**

2025 წელს განსახორციელებელი ბსუ-ს სტუდენტური პროექტი - **„ლიმინალი“**

(სტუდენტური საპროექტო განაცხადის ID 126)

(საგანმანათლებლო მიმართულებით)

| | | | |
|---|---|---|---|
| განმცხადებელი | პროექტის ხელმძღვანელის/განმცხადებლის სახელი, გვარი, პირადი ნომერი | მარიამ დევაძე (პ/ნ | |
| | სტუდენტთა ჯგუფის/გაერთიანების სახელი (ჯგუფის მიერ წარმოდგენილი პროექტის შემთხვევაში) | „ლიმინალი“ | |
| | განმცხადებლის ფაქტობრივი მისამართი | | |
| | საკონტაქტო მობილურის ნომერი | | |
| | საკონტაქტო ელექტრონული ფოსტა | | |
| პროექტის შესახებ | პროექტის დასახელება, (ცხოვნოვანი პროგრამის სტუდენტებისთვის ინგლისურად) | „ლიმინალი“ | |
| | | დაწყების თარიღი | დასრულების თარიღი |
| | | 14/05/2025 | 15/12/2025 |
| | პროექტის დაწყებისა და დასრულების თარიღები | (რიცხვი/თვე/წელი) | (რიცხვი/თვე/წელი) |
| | პროექტის მთლიანი ბიუჯეტი | 3000 | |
| | თანადაფინანსება | 0 | |
| | ბსუ-დან მოთხოვნილი თანხა | 3000 | |
| | ხელმოწერა (პროექტზე პასუხისმგებელი პირი/განმცხადებელი/ხელმძღვანელი) | | |
| | თარიღი | 12/04/2025 | |
| | | რიცხვი/თვე/წელი | |

## პროექტის აღწერა:

**ა) პრობლემის განსაზღვრა:**

თანამედროვე სტუდენტურ გარემოში ფსიქოლოგიური საკითხები ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული და აქტუალური თემაა. მიუხედავად ამისა, მასზე ღიად საუბარი ხშირად ან ტაბუირებულია, ან ზედაპირულად და არასწორად აღქმული. ფსიქოლოგიის პოპულარიზაცია უმეტესად მხოლოდ აკადემიურ წრეებშია მოქცეული და იშვიათად აღწევს ფართო სტუდენტურ საზოგადოებამდე — მით უმეტეს იმ ენაზე და ფორმატით, რომელიც ახალგაზრდებისთვის ბუნებრივი და ხელმისაწვდომია.

ბევრ სტუდენტს უჭირს ფსიქოლოგიური თემების გაგება ან საკუთარ თავში გარკვევა. მიუხედავად ინფორმაციის დიდი რაოდენობისა, კვლავ არსებობს რეალური საჭიროება სანდო, მარტივად გასაგები და თანაგრძნობის შთამაგონებელი კონტენტისკენ. **სწორედ ამ ფონზე შეიქმნა „ლიმინალი“ — სტუდენტური პოდკასტი ფსიქოლოგიაზე,** რომელიც არა მხოლოდ ცოდნის გაზიარებას ემსახურება, არამედ გულწრფელი საუბრისთვისაც ქმნის უსაფრთხო სივრცეს.

ჩვენი მიზანია, მსმენელებს არამხოლოდ საინტერესო თემები შევთავაზოთ, არამედ ისეთი სივრცეც, სადაც მათ თავისუფლად შეეძლებათ თვითგამოხატვა და საკუთარი იდენტობის უკეთ გაგება. „ლიმინალი“ ხელს უწყობს ფსიქოლოგიური თვითშეგნების გაღრმავებას, ახალი პერსპექტივების აღმოჩენას და საკუთარი თავის უკეთ გაცნობას. ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ პოდკასტის ფორმატი იყოს ინტერაქციული, ემპათიური და ხელისაწვდომი — ადგილი, სადაც თითოეულ ადამიანს ექნება შესაძლებლობა, მოისმინოს, იაზროვნოს, შეიგრძნოს და ღიად ისაუბროს საკუთარ ემოციებზე.

ჩვენ გვჯერა, რომ ფსიქოლოგიის ხელმისაწვდომი და გასაგები ფორმით მიწოდება ფართო აუდიტორიისთვის უმნიშვნელოვანესია. „ლიმინალი“ მიზნად ისახავს დაეხმაროს მათ, ვისაც სურს ფსიქოლოგიური საკითხების გაგება, მაგრამ ფინანსური თუ სხვა მიზეზების გამო ვერ ახერხებს ფსიქოლოგთან ინდივიდუალურ კონსულტირებას. ჩვენ გვწამს, რომ ცოდნის გაზიარება - ფსიქოლოგიური კეთილდღეობისკენ გადადგმული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯია. ჩვენს პოდკასტში განვიხილავთ ისეთ სიღრმისეულ და საკვანძო თემებს, როგორებიცაა:

- პირველი ნაბიჯისა და ცვლილებების შიში
- რა არის თვითშეფასება და როგორ გავაუმჯობესოთ იგი?
- ტრამვის გავლენა ფსიქიკაზე და მისი გადალახვის გზები
- ემპათია და მისი საზღვრები
- კომპლიმენტის გაცემისა და მიღების ფსიქოლოგია
- ემოციების რეგულაცია და სტრესთან გამკლავება
- პროკრასტინაცია და თვითდისციპლინა
- პერფექციონიზმი და შიში მარცხის წინაშე
- მენტალური ჯანმრთელობა სოციალურ მედიაში აქტიურობის ფონზე
- ტოქსიკური და ჯანსაღი ურთიერთობები
- შიში, ფობია და შფოთვა

- ნოსტალგია
- კომფორტის ზონა და მისი დატოვების უკმაყოფილება
- სიყვარული და მიჯაჭვულობა
- გენიალური სოციოპათები? ფსიქოპათიისა და ნარცისიზმის ფსიქოლოგია
- ფსიქოლოგიაზე არსებული სტიგმები – რატომ ერიდებიან ადამიანები ფსიქოლოგთან სიარულს?

**ბ) მიზანი:**

პროექტი ლიმინალი უკვე რეალურად ხორციელდება და აქტიურად ეხმიანება მენტალური ჯანმრთელობის სფეროში არსებულ საჭიროებებს. ჩვენი მიზანია, მსმენელისთვის სელმისაწვდომი გავხადოთ მენტალური ჯანმრთელობის შესახებ მინიმალური, მაგრამ პერსონალურად შერჩეული და სტრატეგიულად დაფუძნებული ინფორმაცია. ასევე, ხელი შევუწყოთ პირადი გამოცდილებების გაზიარებას, შეხედულებების გაცვლას და ფსიქოლოგიური ინფორმაციის მიღების შესაძლებლობას იმ ადამიანებისთვის, რომლებსაც ამგვარი ჩვდომა ნაკლებად აქვთ (განსხვავებული მიზეზების გამო). პროექტის საერთო მიზანია აუდიტორიის გაფართოება და პოდკასტის უფრო ფართო საზოგადოებაზე გატანა. პროექტის განვითარება კიდევ უფრო მრავალმხრივი და პროფესიული გახდება — გაეუმჯობესდება ტექნიკური ხარისხი, გაძლიერდება თანამშრომლობა სხვადასხვა ფაკულტეტთან (მაგ. ჟურნალისტიკა, მედია, არტი) და შეიქმნება ინოვაციური, ინტერდისციპლინარული სტუდენტური სივრცე. პროექტის მიზანია ხელი შეუწყოს როგორც ინდივიდუალურ განვითარებას, ისე მსოფლმხედველობის გაფართოებას, ემპათიის გაღრმავებასა და ცნობიერი სტუდენტური საზოგადოების ჩამოყალიბებას. სტუდენტებისთვის ლიმინალი იქნება შესაძლებლობა, გაიღრმავონ პროფესიული უნარები და პრაქტიკული გამოცდილება.

**გ) ამოცანები:**

1. საგნობრივი სიღრმის უზრუნველყოფა ფსიქოლოგიურ თემებზე;
2. ვიზუალური ბრენდინგის შექმნა;
3. განსხვავებული და საინტერესო სტუმრების მოწვევა;
4. ბრენდის ცნობადობის გაზრდა;
5. სხვადასხვა სასწავლო დაწესებულებებთან კოლაბორაცია;
6. სტიგმის დაძლევა;
7. პრაქტიკული რჩევების შეთავაზება;
8. კრიტიკული აზროვნების წახალისება;
9. ემოციური მხარდაჭერა;
10. თვითშეფასების და თვითსეგრძნების ამაღლება.

**დ) განხორციელების გზები:**

ყოველკვირეული შეხვედრებით, მოწვეული სტუმრებთან/ფსიქოლოგებთან ერთად განვიხილავთ ნებისმიერ აქტუალურ თემას/პრობლემას და შევქმნით ონლაინ და რეალურ სივრცეს, სადაც შეგვიძლია ერთად ვეავფიქრდეთ, ვისაუბროთ და უკეთ გავიცნოთ როგორც საკუთარი თავი, ისე გარშემომყოფები.

## პროექტის „ლიმინალ“ განხორციელების გეგმა-გრაფიკი
## (შესრულების გეგმა)

| N | საგანმანათლებლო მიმართულებით<br>პროექტის „ლიმინალ“ განხორციელების გეგმა-გრაფიკი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | **პროექტის განხორციელების ეტაპები და შესაბამისი აქტივობები** | **1 თვე** | **2 თვე** | **3 თვე** | **4 თვე** | **5 თვე** | **6 თვე** |
| | **ეტაპი I** | მაისი | ივნისი | სექტემბერი | ოქტომბერი | ნოემბერი | დეკემბერი |
| **1** | პოდკასტის თემის დაგეგმარება/ სტუმრისგან თანხმობის მიღება | x | x | x | x | x | x |
| **2** | საჭირო ინვენტარის ყანთავსება/ აუდიტორიის მომზადება | x | x | x | x | x | x |
| **3** | ეპიზოდის ანონსის/სარეგისტრაციო ბმულის დაპოსტვა სოციალურ ქსელებში | x | x | x | x | x | x |
| | **ეტაპი II** | მაისი | ივნისი | სექტემბერი | ოქტომბერი | ნოემბერი | დეკემბერი |
| **1** | შეხვედრები | x | x | x | x | x | x |
| **2** | | | | | | | |
| **3** | | | | | | | |
| | **ეტაპი III** | | | | | | |
| **1** | ეპიზოდის ონლაინ განთავსება | მაისი | ივნისი | სექტემბერი | ოქტომბერი | ნოემბერი | დეკემბერი |
| **2** | | x | x | x | x | x | x |
| **3** | | | | | | | |
| | **ეტაპი IV** | | | | | | |
| **1** | პროექტის დახურვა | | | | | | x |
| **2** | | | | | | | |
| **3** | | | | | | | |

**მიზნობრივი ჯგუფები/ბენეფიციარები:**

პროექტი გათვლილია როგორც სტუდენტებისთვის, ასევე ნებისმიერი ფსიქოლოგიით დაინტერესებული პირისთვის.

**მოსალოდნელი შედეგები:**

1.მოსმენის მაჩვენებლები- ჯამურად ყველა პლატფორმაზე, პირველ ორ თვეში 5000-ზე მეტი; ყოველ ახალ ეპიზოდზე 500-700 ნახვა.

2. აუდიტორიის ზრდა- სხვადასხვა პლატფორმაზე 300-ზე მეტი თვიური გამომწერი.

3. ეპიზოდების სიხშირე- კვირაში 1- ანუ თვეში 4 ეპიზოდი.

4. მოწვეულ სტუმართა რაოდენობა (მაგ. 3 თვეში) 3-5 სტუმრის მოწვევა/ ჩაწერა.

1.აუდიტორიის მიერ „ლიმინალი"-ს როგორც საინტერესოდ და ღირებულად აღქმა, კომენტარებში პოზიტიური გამოხმაურებები.

2.გუნდში მონაწილეების თვითგამოხატვის, კომუნიკაციის და კვლევის უნარების გაუმჯობესება.

3. "Liminal" ხელს შეუწყობს ფსიქოლოგიის როგორც მეცნიერების უფრო ფართო საზოგადოებისთვის გასაგებად გადმოცემას, ამით კი დაარღვევს სტერეოტიპებს და "მხოლოდ პროფესიონალებისთვის განკუთვნილ" დისციპლინად აღქმას.

4. სფეროს სპეციალისტების ჩართვით პოდკასტში, იბადება დიალოგი თეორიასა და პრაქტიკას შორის, რაც ავითარებს სფეროს ღია კომუნიკაციას საზოგადოებასთან.

5. პროექტი შეიძლება გახდეს სხვა ფაკულტეტებთან თანამშრომლობის დასაწყისი (მაგალითად, ჟურნალისტიკა, მედია, არტი), რაც აფართოებს სტუდენტური ცხოვრების არეალს და ქმნის ინოვაციურ საერთო სივრცეს.

6. სტუდენტები, როგორც პოდკასტის შემქმნელები ან მსმენელები, უფრო აქტიურად ერთვებიან ფსიქოლოგიური და სოციალური საკითხების განხილვაში — ფორმირდება თანამგრძნობი და ცნობიერი სტუდენტური საზოგადოება.

**მონიტორინგი:**

პროექტს მონიტორინგს გაუწევს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტი.

**შეფასება:** 1. შინაარსის სიღრმე და სანდოობა- თემების სწორად, სიღრმისეულად და სანდო წყაროებზე დაყრდნობით გადმოცემა.

2. აუდიტორიის ჩართულობა და აქტივობა- მოსმენების რაოდენობა,კომენტარების სისშირე, აზრების გაზიარება და სოციალური მედიის აქტივობა.

3. გამოქვეყნების რეგულირება-დაგეგმილ გრაფიკთან შესაბამისობა და კონსისტენტურობა ეპიზოდების გამოქვეყნებაში.

4. სტუმრების პარისხი და მრავალფეროვნება- მოწვეული სტუმრების თემატური შესაბამისობა, მრავალფეროვნება და მათ მიერ წეტანილი ღირებულება.

5. ტექნიკური პარისხი- ხმის სიწმინდე, მონტაჟის სისუფთავე, აუდიო ფორმატის ხარისხი და პროფესიონალიზმი.

6. ფსიქოლოგიის პოპულარიზაცია საუნივერსიტეტო სივრცეში- სტუდენტებში ფსიქოლოგიისადმი ინტერესი,თემების აქტუალობა და საზოგადოებრივი ჩართულობის ხარისხი.

# პროექტის ბიუჯეტი

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | სტუდენტური პროექტის პროექტის „ლიმინალი“ 2025 წლის ბიუჯეტი | | | | | | | | | | |
| | პროექტის მოკლე აღწერა - პოდკასტი, სადაც განვიხილავთ ფსიქოლოგიის მნიშვნელოვან თემებს, ვსაუბრობთ ადამიანის შინაგან სამყაროზე, ემოციებზე, ურთიერთობებზე და ყოველდღიურ გამოწვევებზე. | | | | | | | | | | |
| N | განსახორციელებელი აქტივობის/ღონისძიების/ხარჯის დასახელება | გასაწევი ხარჯის დეტალური გაანგარიშება | თანხა | მოსალოდნელი საბოლოო შედეგი | საბოლოო შედეგის ინდიკატორი | ხარჯის გაწევის პერიოდი წლის შესაბამისი ივლისის შესაბამისად | | | | | |
| | | | | | | მაი | ივნ | სექტ | ოქტ | ნოე | დეკ |
| 1 | პუფი | 4ც. | 400 | გასვლითი შეხვედრების ღია სივრცეში დაგეგმარების და შერსრულებისთვის. | კომფორტული გარემოს უზრუნველყოფა. | x | x | x | x | x | |
| 2 | სტუმარის/სპიკერის ჰონორარი | ჩაჰოსვლის/დარჩენის ხარჯები/ჰონორარი | 1500 | სფეროს სპეციალისტების ჩართვით პოდკასტში, იზადება დიალოგი თეორიასა და პრაქტიკას შორის, რაც ავითარებს სფეროს ღია კომუნიკაციას საზოგადოებასთან და გვეხმარება ფართო აუდიტორიასთან ურთიერთთანამშრომლობაში. | უნივერსიტეტის, პოდკასტისა და ფსიქოლოგიური ფაკულტეტის რეპუტაციისა და დინამიკური ხარისხის ამაღლება | x | x | X | X | X | X |
| 3 | ბრენდირებული ინვენტარი | ჭიქები<br>სტიკერები<br>მაისურები<br>ტილოს ჩანთები<br>ბანერი | 500 | ბრენდის ცნობადობის გაზრდისთვის და პიარისთვის. | პროექტის ორიგინალურობის, გამორჩეულობის და მრავალფეროვნების ხაზგასმა და ვიზუალური ფონის წინა პლანზე გამოტანა. | x | x | x | x | x | |
| 4 | პროექტის ხელმძღვანელის შრომის ანაზღაურება | პროექტის ხელმძღვანელის ჰონორარი | 600 | სტუდენტის კმაყოფილება | სტუდენტის კმაყოფილება | | | | | | X |

„2025 წელს განსახორციელებელი ბსუ-ს სტუდენტური პროექტების დაფინანსების შესახებ“

**ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2025 წლის 30 აპრილის N 01-18/176 ბრძანების**

**დანართი 6**

2025 წელს განსახორციელებელი ბსუ-ს სტუდენტური პროექტი **„სასამართლოს კარები ღიაა“**

(სტუდენტური საპროექტო განაცხადის ID134)

(საგანმანათლებლო მიმართულებით)

| | | | |
|---|---|---|---|
| განმცხადებელი | **პროექტის ხელმძღვანელის/განმცხადებლის სახელი, გვარი, პირადი ნომერი** | ჟანა ბოლქვაძე<br>ნატო საგინაძე ( | |
| | **სტუდენტთა ჯგუფის/გაერთიანების სახელი**<br>(ჯგუფის მიერ წარმოდგენელი პროექტის შემთხვევაში) | ბსუ-ს იურიდიული ორგანიზაცია - სამართლებრივი ჰორიზონტი | |
| | **განმცხადებლის ფაქტობრივი მისამართი** | | |
| | **საკონტაქტო მობილურის ნომერი** | | |
| | **საკონტაქტო ელექტრონული ფოსტა** | | |
| პროექტის შესახებ | **პროექტის დასახელება**<br>(უცხოენოვანი პროგრამის სტუდენტებისთვის ინგლისურად) | „სასამართლოს კარები ღიაა“ | |
| | **პროექტის დაწყებისა და დასრულების თარიღები** | **დაწყების თარიღი** | **დასრულების თარიღი** |
| | | 10/05/2025 | 15/12/2025 |
| | | **(რიცხვი/თვე/წელი)** | **(რიცხვი/თვე/წელი)** |
| | **პროექტის მთლიანი ბიუჯეტი** | 4292.6 | |
| | **თანადაფინანსება** | 0 | |
| | **ბსუ-დან მოთხოვნილი თანხა** | 4292.6 | |
| | **ხელმოწერა**<br>**( პროექტზე პასუხისმგებელი პირი/განმცხადებელი/ხელმძღვანელი)** | ჟანა ბოლქვაძე | |
| | **თარიღი** | 13/04/2025 | |
| | | **რიცხვი/თვე/წელი** | |

## პროექტის აღწერა:

ა) **პრობლემის განსაზღვრა**:

,,სამართლებრივი ჰორიზონტის" აზრით, სამართალმცოდნეობის სტუდენტებისთვის რეგულარულად არ ტარდება სამართლებრივი შეხვედრები, იმიტირებული სასამართლო პროცესები, სამართლებრივი ვორქშოპები, სემინარები, შესაბამისად, ჩვენ ეს პრობლემა დღის წესრიგში დავაყენეთ და ვიფიქრეთ მისი გადაჭრის გზაზე, რომელიც გახდა ჩვენი პროექტის შექმნის მიზანი. პრობლემაა, აგრეთვე, ისიც, რომ ამ სფეროში მყოფ სტუდენტებს ხშირ შემთხვევაში არ ეძლევათ იმის საშუალება, რომ თეორიული ცოდნა პრაქტიკაში გადმოიტანონ და შეიძინონ დამატებითი გამოცდილება, რომელიც სამომავლო საქმიანობის წარმართვაში დაეხმარებათ.

ბ) **მიზანი:**

პროექტს აქვს მრავალფეროვანი მიზანი, კერძოდ, მის ფარგლებში იგეგმება სამოქალაქო სამართლისა და სისხლის სამართლის მიმართულებით იმიტირებული სასამართლო პროცესების ჩატარება. გარდა ამისა, როცა ორგანიზაციას ,,სამართლებრივი ჰორიზონტი" შიდა საუნივერსიტეტო სივრცეში დავარეგისტრირებთ, ის იქნება იმის გარანტორი, რომ კვლავ ჩატარდეს პრაქტიკული ტრენინგები, სემინარები, ვორქშოპები, ღონისძიებები და, ასევე, იმიტირებული სასამართლო პროცესები. ზემოაღნიშნული პროცესის ჩატარების შემდეგ გამოვავლენთ 3 ძირითად გამარჯვებულ გუნდსა და სამოქალაქო სამართლისა და სისხლის სამართლის მიმართულებით საუკეთესო შესავალი სიტყვის ავტორს, საუკეთესო მოწმეს, ადვოკატს, პროკურორს, რომელთაც დავასაჩუქრებთ სიმბოლური პრიზებით. ასევე, პროექტში მონაწილე ყველა სტუდენტს დავეხმარებით კარიერული განვითარების მიმართულებით. პროექტის მიზანი მოიცავს სტუდენტთა კოორდინაციას, აღნიშნული ღონისძიების ფარგლებში ადამიანები ერთმანეთს საკუთარ გამოცდილებას გაუზიარებენ, პრაქტიკულ სამართლებრივ ქეისებს გაეცნობიან, დაიცავენ თავიანთ მხარეებს, რის შედეგადაც შეიქმნება სამართალმცოდნეთა კომპლექტი, მყარი ბაზა ოთხივე კურსის სტუდენტის გათვალისწინებით.

გ) **ამოცანები:**

1. პროექტის დაფინანსების შემდეგ 26 მაისს, რომელიც არის საქართველოს დამოუკიდებლობის დღის გამო საქართველოს ეროვნული დღესასწაული, გავმართავთ გაცნობით შეხვედრას და სტუდენტებს გავაცნობთ ,,სამართლებრივი ჰორიზონტის" სამოქმედო გეგმას. დასტურის შემთხვევაში, 16 აპრილის შემდეგ 15 მაისს ჩვენ სოციალური ქსელის ფეისბუქის გვერდზე ავტვირთავთ შეხვედრაზე დასასწრებ სარეგისტრაციო ფორმას, შეხვედრაზე დამსწრები პირები აირჩევიან 20 მაისს და შეხვედრის შესახებ დეტალები ( აუდიტორია, შეხვედრის ხანგრძლივობა, შეხვედრაზე განსახილველი საკითხები) მივაწოდებთ 22 მაისს ელექტრონულ ფოსტაზე.

2. 2025 წლის 8 აგვისტოს, პარასკევს, 18:00 საათზე - სამოქალაქო სამართლის მიმართულებით იმიტირებული სასამართლო პროცესზე დასწრების დამადასტურებელი სააპლიკაციო ფორმის განთავსება ,,სამართლებრივი ჰორიზონტის" სტუდენტთა კარიერული განვითარების,

კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის ფეისბუქ გვერდზე. დარეგისტრირდება 6 ადამიანი - 1 მოპასუხე, 1 მოპასუხის ადვოკატი, 1 მოპასუხის მოწმე, 1 მოსარჩელე, 1 მოსარჩელეს ადვოკატი, 1 მოსარჩელის მოწმე, ( ექსპერტი იმ შემთხვევაში თუ ჯგუფს ექნება სურვილი და თუ რაოდენობაზე მეტი სყუდენტი დარეგისტრირდება), ასევე გვეყოლება წინასწარ შერჩეული მოსამართლეთა 3 კაციანი კოლეგია, რომელთა წევრები, დაზუსტებული ინფორმაციით, იქნებიან: სანდრო კიკნაძე, ნინო ლორთქიფანიძე, ლუკა ტაკიძე; გარდა ამისა, სასამართლო პროცესის მიმდინარეობას ,,სამართლებრივი ჰორიზონტის" შემქმნელების, 3 მოსამართლის მიუხედავად, მოთამაშე გუნდებს დააკვირდებიან პროფესორები და ასისტენტ-პროფესორები: ლინდა შალამბერიძე-ვერძაძე, მალხაზ ნაკაშიძე, ნარგიზ ცეცხლაძე, მურმან გორგოშაძე, იოსებ შოთაძე. შემდგომ 2025 წლის 13 აგვისტოს, ოთხშაბათს, 18:00საათზე - სარეგისტრაციო ბმულზე პასუხების მიღების შეწყვეტა. 2025 წლის 22 აგვისტო, 12:00 საათზე - შევსებული პასუხების მიღება, აპლიკანტთა შერჩევის პროცესი; 2025 წლის 25 აგვისტო, ორშაბათი, 12:00 საათზე - შერჩეული სტუდენტებისათვის იმიტირებული სასამართლო პროცესის შესახებ ინსტრუქტაჟისა და უშუალო განრიგის გადაგზავნა მათ მიერ მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე; 5,6,7 სექტემბერს, 12:00 საათზე - იმიტირებული სასამართლო პროცესის გამართვის I, II, ტური, ფინალის და დაჯილდოების ჩატარება. მონაწილეებას მიიღებს სულ 10 გუნდი, მეორე ტურში კომისიის წევრთა შეფასების საფუძველზე გადადის 5 გუნდი, III ეტაპზე ჯილდოვდება I, II, III ადგილოსანი გუნდები ადგილების მიხედვით 200 -ლარიანი ვაუჩერებით. აქვე სამოქალაქო სამართლის ხელმძღვანელი იქნება ლინდა შალამბერიძე. თქვენ გაგზავნეთ.

3. 2025 წლის 8 აგვისტოს, პარასკევს 18:00 საათზე - სისხლის სამართლის მიმართულებით იმიტირებული სასამართლო პროცესზე დასწრების დამადასტურებელი სააპლიკაციო ფორმის განთავსება ,,სამართლებრივი ჰორიზონტის" სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის ფეისბუქ გვერდზე. დარეგისტრირდება 7 ადამიანი - 1 ბრალდებული, 1 ბრალდებულის ადვოკატი, 1 ექსპერტი, 1 პროკურორი, 1 ბრალდებულის მოწმე, 1 დაზარალებული, 1 დაზარალებულის მოწმე. მოსამართლეთა სამ კაციანი კალეგია, რომელთა წევრები იქნებიან დაზუსტებული ინფორმაციით: ნიკა ფარტენაძე, იოსებ შავაძე, მარიამ კონცელიძე და ასევე კომისია, რომლებიც შეაფასებს მოთამაშე გუნდებს: ადამ მახარაძე, ანზორ მახარაძე, ომარ ფარტენაძე, მალხაზ ნაკაშიძე, მურმან გორგოშაძე. 12,13,14 სექტემბერს, 12:00 საათზე - გაიმართება იმიტირებული სასამართლო პროცესი სისხლის სამართლის მიმართულებით სამი ტური. მონაწილეობას მიიღებს სულ 9 გუნდი, მეორე ტურში კომისიის წევრთა შეფასების საფუძველზე გადადის 6 გუნდი, მესამე ეტაპზე კი ჯილდოვდება I,II, III ადგილოსანი გუნდები ადგილების მიხედვით 200 ლარიანი ვაუჩერებით. სისხლის სამართლის მიმართულების ხელმძღვანელი კი იქნება გვანცა თურმანიძე.

დ) **განხორციელების გზები:**

დაფინანსების მოპოვების შემდეგ საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს გავმართავთ გაცნობით შეხვედრას მე, ჟანა ბოლქვაძე და ჩემი კოლეგა ნატო საგინაძე, აღნიშნული შეხვედრის ფარგლებში იმიტირებული სასამართლო პროცესის ინსტრუქცია და, შესაბამისად დამსწრე მსმენელებს გავაცნობთ თუ რა იყო ჩვენი პროექტის შექმნის მოტივი და როგორ მოვედით აქამდე, გარდა ამისა ჩვენ მათ გავესაუბრებით სასამართლო პროცესის წარმართვის ეტაპებზე. და მათ მივაწვდით ინფორმაციას თემატური პრიზების შესახებ, რომელთაც დაიმსახურებს პირველ ადგილზე გასული გუნდი, როგორც სამოქალაქო სამართლის მიმართულებით, აგრეთვე სისხლის სამართლის მიმართულებით. ჩვენი პროექტის განხორციელებაში გვეხმარებიან ქალბატონ გვანცა თურმანიძე, რომელსაც ეკუთვნის სისხლის სამართლის მიმართულება, ამ მხრივ ყველა დარეგისტრირებულ ჯგუფისათვის კაზუსის შედგენა და ჩასატარებელი იმიტირებულ სასამართლო

პროცესზე მონიტორინგის განხორციელება. ასევე, სამოქალაქო სამართლის მიმართულებით გვეხმარება ქალბატონი ლინდა შალამბერიძე-ვერძაძე, რომელიც შეადგენს კაზუსებს და ჩვენთან ერთად გაუწევს ზედამხედველობას იმიტირებულ პროცესს. იმიტირებულ სასამართლო პროცესებს ეყოლებათ წინასწარ დანიშნული მესამე კურსის სტუდენტი მოსამართლეები (სისხლის სამართლის მიმართულებით: ნიკა ფარტენაძე, იოსებ შავაძე, მარიამ კონცელიძე. სამოქალაქო სამართლის მიმართულებით: ლუკა ტაკიძე, ნინო ლორთქიფანიძე, სანდრო კიკნაძე.) და ჩვენი აზრით, აღნიშნული რეფორმა ხელს უწყობს ახალგაზრდა იურისტების გაძლიერებას რეგიონების მასშტაბით. კომისიის წევრების სახით, პროცესის მიმდინარეობას დააკვირდებიან ბსუ-ს იურიდიული კლინიკის ხელმძღვანელი - ქალბატონი ნარგიზ ცეცხლაძე და ბსუ-ში ჟან მონეს კათედრის ავტორი - ბატონი მალხაზ ნაკაშიძე.

**პროექტის „სასამართლოს კარები ღიაა“ განხორციელების გეგმა-გრაფიკი**
**(შესრულების გეგმა)**

| | საგანმანათლებლო მიმართულებით<br>პროექტის „სასამართლოს კარები ღიაა“ განხორციელების გეგმა-გრაფიკი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| N | პროექტის განხორციელების ეტაპები და შესაბამისი აქტივობები | მაისი | ივნისი | სექტემბერი | ოქტომბერი | ნოემბერი | დეკემბერი |
| | ეტაპი I | | | | | | |
| 1 | სარეგისტრაციო ლინკის განთავსება | + | + | | | | |
| 2 | დადასტურების გაგზავნა მეილზე | + | + | | | | |
| 3 | გაცნობითი შეხვედრა | + | + | | | | |
| | ეტაპი II | | | | | | |
| 1 | იმიტირებული სასამართლო პროცესი სამოქალაქო სამართალში | | | + | + | + | |
| 2 | იმიტირებული სასამართლო პროცესი სისხლის სამართალში | | + | + | + | + | |
| 3 | | | | | | | |

**მიზნობრივი ჯგუფები/ბენეფიციარები:**

პროექტი ,,სასამართლოს კარი ღიაა" გათვლილია იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამართალმცოდნეობის პროგრამის ოთხივე კურსის სტუდენტისათვის.

**მოსალოდნელი შედეგები:**

პროექტის ,,სასამართლოს კარი ღიაა" ფარგლებში ველით აჭარის მასშტაბით ბევრი სტუდენტთა გაერთიანების ჩართვას, სტუდენტთა ცნობიერების ამაღლებას, საუკეთესო შესავალი სიტყვის, საუკეთესო პროკურორის, საუკეთესო მოსამართლის, საუკეთესო დაცვის მხარეთა, მოწმეთა აღმოჩენას იმის გამო, რომ მათ, პროექტის სხვა მონაწილეებთან ერთად, კარიერულ განვითარებაში ხელი შევუწყოთ. პროექტის ერთ-ერთი შედეგი იქნება ისიც, რომ სტუდენტები სამოქალაქო სამართლისა და სისხლის სამართლის მიმართულებით სხვადასხვა ინსტიტუტს გაეცნობიან და საშუალება ექნებათმ რომ შეიგრძნონ ეს პროფესია, განსაკუთრებით კი საფინალო ეტაპის დროს, რადგან სამოქალაქო სამართლის მიმართულებით იმიტირებული სასამართლო პროცესის ფინალი გაიმართება ბათუმის საქალაქო სასამართლოში.

**მონიტორინგი:**

იმიტირებული სასამართლო პროცესების მიმდინარეობიდან (სამოქალაქო სამართლის მიმართულებით იმიტირებული სასამართლო პროცესი, როგორც ცნობილია, ჩატარდება 5-6-7 სექტემბერს, სისხლი კი - 12-13-14 სექტემბერს) გამომდინარე, პროექტს დავაკვირდებით თავად ჩვენ, იდეის ორგანიზატორები, და კომისიის წევრები სამივე დღის განმავლობაში. კომისიის წევრთა შეფასებითი სისტემის საფუძველზე კი გუნდები შეძლებენ მომდევნო ეტაპზე გადასვლას, საბოლოო ჯამში კი გამარჯვების

**შეფასება:**

1. მიზნების კონკრეტულობა და მათი მიღწევის დონე;
2. სტუდენტთა მიერ ჩამოყალიბებული გუნდების კმაყოფილება და მათი უკუკავშირი.

# პროექტის ბიუჯეტი

| | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | **სტუდენტური პროექტის „სასამართლოს კარები ღიაა“ 2025 წლის ბიუჯეტი** | | | | | | | | | | | | |
| | **პროექტის მოკლე აღწერა -** პროექტის ფარგლებში შეიქმნება ბსუ-ს იურიდიული ორგანიზაცია ,,სამართლებრივი ჰორიზონტი“, სადაც ძირითადი ყურადღება დაეთმობა პრაქტიკული ნაწილის მუშაობას, რომელიც სტუდენტებისთვის მოთხოვნადი სფეროა .ჩატარდება სხვადასხვა ღონისძიებები, როგორიცაა სამართლებრივი ვორქშოპები, იმიტირებული სასამართლო პროცესები და სხვა... | | | | | | | | | | | | |
| N | განსახორციელებელი აქტივობის/ღონისძიების/ხარჯის დასახელება | გასაწევი ხარჯის დეტალური გაანგარიშება | თანხა | მოსალოდნელი საბოლოო შედეგი | საბოლოო შედეგის ინდიკატორ(ებ)ი | ხარჯის გაწევის პერიოდი წლის შესაბამისი თვეების შესაბამისად | | | | | | | |
| | | | | | | მაისი | ივნისი | სექტ. | ოქტ. | ნოემ. | დეკ. | | |
| 1 | თემატური ნივთები (სუვენირი, წიგნი) | 26 მონაწილისთვის | 700 | სტუდენტთა წახალისება | სტუდენტთა კმაყოფილება | | + | + | + | + | | | |
| 2 | პრიზები (წიგნები, ვაუჩერები) | 13 გამარჯვებული სტუდენტის დაჯილდოება | 2600 | სტუდენტთა წახალისება | სტუდენტთა კმაყოფილება | | + | + | + | + | | | |
| 3 | ფურშეტი | სტუდენტებისა და მონაწილეებისათვის | 992,60 | პროექტში ჩართული პირების კმაყოფილება | პროექტში ჩართული პირების კმაყოფილება | | + | + | + | + | | | |

„2025 წელს განსახორციელებელი ბსუ-ს სტუდენტური პროექტების დაფინანსების შესახებ“

**ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2025 წლის 30 აპრილის N 01-18/176 ბრძანების**

**დანართი 7**

2025 წელს განსახორციელებელი ბსუ-ს სტუდენტური პროექტი **„თეატრის 72 საათი - როცა სცენის ფარდა იხსნება“**
(სტუდენტური საპროექტო განაცხადის ID 129

(კულტურის მიმართულებით)

| | | | |
|---|---|---|---|
| განმცხადებელი | პროექტის ხელმძღვანელის/განმცხადებლის სახელი, გვარი, პირადი ნომერი | მელანო ჩხაიძე (პ/ნ [redacted]) | |
| | სტუდენტთა ჯგუფის/გაერთიანების სახელი (ჯგუფის პირველ წარმოდგენილი პროექტის შემთხვევაში) | თეატრის 72 საათი | |
| | განმცხადებლის ფაქტობრივი მისამართი | [redacted] | |
| | საკონტაქტო მობილურის ნომერი | | |
| | საკონტაქტო ელექტრონული ფოსტა | | |
| პროექტის შესახებ | პროექტის დასახელება<br>(უცხოენოვანი პროგრამის სტუდენტებისთვის ინგლისურად) | „თეატრის 72 საათი - როცა სცენის ფარდა იხსნება<br>(72 Hours Of Theatre – When the Stage Curtain Rises)“ | |
| | პროექტის დაწყებისა და დასრულების თარიღები | დაწყების თარიღი | დასრულების თარიღი |
| | | 23/07/2025 | 15/12/2025 |
| | | (რიცხვი/თვე/წელი) | (რიცხვი/თვე/წელი) |
| | პროექტის მთლიანი ბიუჯეტი | 12 000 | |
| | თანადაფინანსება | 0 | |
| | ბსუ-დან მოთხოვნილი თანხა | 12 000 | |
| | ხელმოწერა<br>( პროექტზე პასუხისმგებელი პირი/განმცხადებელი/ხელმძღვანელი) | მ.ჩხაიძე | |
| | თარიღი | 13/04/2025 | |
| | | რიცხვი/თვე/წელი | |

**პროექტის აღწერა:**
**ა) პრობლემის განსაზღვრა:**

ცნობილია, რომ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს ხშირად უწევთ სირთულეების გადალახვა მასშტაბური აქტივობების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში. ამ გამოწვევების ფონზე, ისინი ხშირად მიმართავენ დახმარებისთვის უნივერსიტეტის ადმინისტრაციას ან სხვა გარე ორგანიზაციებს. არსებული მდგომარეობის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი არის სტუდენტებს შორის თანამშრომლობის დაბალი დონე ან ზოგჯერ სრულად არარსებობა.

თანამედროვე სტუდენტურ სივრცეში აქტიურად შეინიშნება თეატრალური აქტივობების შემცირება, განსაკუთრებით არათეატრალურ ფაკულტეტებზე. ახალგაზრდებს ხშირად არ ეძლევათ შესაძლებლობა, გამოხატონ თავიანთი კრეატიულობა სცენაზე, იმუშაონ გუნდურად რეალურ შემო ქმედებით პროცესში და ამ გზით განვითარდნენ როგორც პიროვნულად, ისე პროფესიულად.

მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტური თეატრი უნივერსალურია და არ საჭიროებს პროფესიონალ მსახიობებს, ბევრი სტუდენტი ვერ ერთვება ამ სფეროში, რადგან არ აქვთ გამოცდილება, მხარდაჭერა ან მოტივაცია. ასევე, პრობლემურია, რომ ახალგაზრდების ნაწილი დროს უთმობს არაკრეატიულ და არაკომუნიკაციურ აქტივობებს, რაც ზღუდავს მათ თვითგამოხატვის და საზოგადოებაში აქტიური ჩართვის შესაძლებლობებს.

მიუხედავად იმისა, რომ რიგი სტუდენტები დამოუკიდებლად ცდილობენ სხვადასხვა აქტივობის განხორციელებას, ჩართულობის სიმცირე, როგორც ორგანიზაციულ დონეზე, ასევე მონაწილეობის მხრივ, მნიშვნელოვნად აფერხებს ამ აქტივობების წარმატებას და მიზნების სრულფასოვან მიღწევას.

ბ) **მიზანი:**

პროექტის მიზანია ახალი თეატრალური სივრცის შექმნა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის, სადაც მონაწილეები 72 საათის განმავლობაში პრაქტიკულად ეცნობიან თეატრის მრავალფეროვან მიმართულებებს – მსახიობის, რეჟისორის, სცენოგრაფისა და მუსიკალური გამფორმებლის როლებს.

ახალციხეში გამართული ბანაკის ფორმატის ინტენსიური გამოცდილება საშუალებას აძლევს სტუდენტებს, საკუთარი თავი აღმოაჩინონ შემოქმედებით პროფესიულ გარემოში, განივითარონ საბაზისო უნარები, რომლებიც აუცილებელია თეატრალურ ხელოვნებაში: სხეულზე მუშაობა, სცენური მეტყველება, კრეატიული აზროვნება, ჯგუფური თანაზიარობა და ემოციური გამოხატვა.

პროექტი მოიცავს პრაქტიკულ ტრენინგებს პროფესიონალ რეჟისორთან, როლურ თამაშებს, ექსკურსიებს კულტურულ მემკვიდრეობაზე (რაბათი და ვარძია), ფოტო-მემატიანეობის დაფიქსირებას და „მინი ოსკარის" ცერემონიას ნომინაციებით – „ბანაკის საუკეთესო მსახიობი" და „საუკეთესო ფოტოგრაფი".

პროექტის ბოლოს, მონაწილეები წარმოადგენენ თავიანთ სცენურ ნამუშევრებს ან პერფორმანსს, რომელიც აერთიანებს მათ მიერ მიღებულ ცოდნას და უნარებს. ეს გამოცდილება მათ ასევე დაეხმარება ფსიქო-ემოციურ განვითარებაში, თვითპრეზენტაციისა და თავდაჯერებულობის ამაღლებაში

გ) **ამოცანები:**

1. თეატრალურ პროცესში პრაქტიკული ჩართვა

მონაწილეებმა გამოცადონ თავი სხვადასხვა თეატრალურ როლში – მსახიობი, რეჟისორი, სცენოგრაფი, მუსიკალური გამფორმებელი.

2. საბაზისო თეატრალური უნარ-ჩვევების განვითარება

სხეულის მოძრაობის, ემოციური გამოთქმის, დრამატურგიისა და იმპროვიზაციის ძირითადი კომპონენტების შესწავლა და გამოყენება.

3. გუნდური მუშაობის უნარების გაღრმავება

მცირე ჯგუფებში მუშაობის გზით მონაწილეებმა ისწავლონ თანამშრომლობა, მოსმენა, გადაწყვეტილებების მიღება და კოლექტიური ნამუშევრის შექმნა.

4. შემოქმედებითი თვითგამოხატვის წახალისება

მონაწილეებმა გამოავლინონ ინდივიდუალური შემოქმედებითი ხედვა და გამოხატონ თავი არტისტული ფორმებით.

5. ფოტოჟურნალისტიკის გამოყენება ბანაკის დოკუმენტირებისთვის

მონაწილე სტუდენტები იმუშაონ როგორც ფოტოგრაფები და დააფიქსირონ ბანაკის მნიშვნელოვანი მომენტები, რომლებიც პრეზენტაციის ნაწილი გახდება.

6. ინტენსიური გამოცდილების დაგვირგვინება არაფორმალური შეფასებით

„მინი ოსკარის“ ცერემონიის მეშვეობით სტუდენტებმა მიიღონ მოტივაცია და პოზიტიური უკუკავშირი საკუთარი ჩართულობისა და წვლილისთვის.

7. კულტურულ მემკვიდრეობასთან შეხება და ინსპირაცია

რაბათისა და ვარძიას მონახულება, როგორც შემოქმედებითი აზრისა და ემოციური შთაგონების წყარო.

8. თვითგამოხატვისა და თავდაჯერებულობის გაძლიერება

მონაწილეებმა გადალახონ სცენის შიში, გამოიმუშაონ საჯაროდ საუბრისა და პრეზენტაციის უნარები.

დ) **განხორციელების გზები:**

1. მონაწილეთა შერჩევა

პროექტში მონაწილეობის მსურველები შეირჩევიან ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის კარიერული განვითარების დეპარტამენტის Facebook-გვერდზე განთავსებული სპეციალური ონლაინლინკის საშუალებით.

სტუდენტები შეავსებენ აპლიკაციის ფორმას, სადაც მიუთითებენ პირად მონაცემებსა და სამოტივაციო წერილს, სადაც გამოხატავენ ინტერესს პროექტში მონაწილეობაზე და თეატრალური გამოცდილების მიმართ დამოკიდებულებას. შერჩევისას უპირატესობა მიენიჭებათ მოტივირებულ და შემოქმედებითად მოაზროვნე კანდიდატებს.

2. ბანაკის ფორმატის განხორციელება

პროექტი ჩატარდება ახალციხეში, 4 დღის განმავლობაში, ბანაკური ცხოვრების სტილში. მონაწილეები იცხოვრებენ ერთ სივრცეში, რაც ხელს შეუწყობს მათ შორის გუნდური და ინტენსიური ურთიერთობის ჩამოყალიბებას.

3. თეატრალური ტრენინგები და პრაქტიკა

ყოველდღიურად ჩატარდება ინტენსიური პრაქტიკული სესიები პროფესიონალ ტრენერთან – რეჟისორსა და მსახიობთან ერთად. სტუდენტები მიიღებენ ცოდნას და გამოცდილებას მსახიობის, რეჟისორის, სცენოგრაფისა და მუსიკალური გამფორმებლის როლებში.

4. შემოქმედებითი ექსპერიმენტები და როლური თამაშები

სხვადასხვა ფორმატის როლური თამაშები და იმპროვიზაციული დავალებები დაეხმარება სტუდენტებს შემოქმედებითი აზროვნებისა და თვითგამოხატვის უნარების გაძლიერებაში.

5. კულტურული ტური – რაბათი და ვარძია

პროექტის ფარგლებში იგეგმება ინსპირაციული ვიზიტი ახალციხის კულტურულ ღირსშესანიშნაობებში – რაბათსა და ვარძიაში. ეს შემეცნებითი ტური მოემსახურება როგორც შემოქმედებით მოტივაციას, ასევე კულტურულ განათლებას.

6. დოკუმენტური ფოტოგრაფიის ინტეგრირება

სტუდენტები იმუშავებენ როგორც მონაწილე-ფოტოგრაფები. მათი ამოცანა იქნება ბანაკის მნიშვნელოვანი მომენტების, პროცესის და ემოციების ფოტოდოკუმენტირება, რაც საბოლოოდ გახდება პროექტის ვიზუალური ქრონიკა.

7. მინი ოსკარის ცერემონია

პროექტის დასასრულს გაიმართება „მინი ოსკარის“ ცერემონია, სადაც მონაწილეობა შეფასდება არა ფორმალურად, არამედ თამაშის ფორმატში. ჯილდოები გაიცემა კატეგორიებში: „ბანაკის საუკეთესო მსახიობი“ და „ბანაკის საუკეთესო ფოტოგრაფი“.

8. ფინალური წარმოდგენა -პერფორმანსი

ბოლო დღეს მონაწილეები წარადგენენ საკუთარ სცენურ ნამუშევრებს – ეს იქნება ერთობლივი ჯგუფური წარმოდგენა, რომელიც აჯამებს მათ 72-საათიან შემოქმედებით გზას.

**პროექტის „თეატრის 72 საათი - როცა სცენის ფარდა იხსნება“**

**განხორციელების გეგმა-გრაფიკი**
**(შესრულების გეგმა)**

| | **კულტურის მიმართულებით**<br><br>**პროექტის „თეატრის 72 საათი - როცა სცენის ფარდა იხსნება“**<br>**განხორციელების გეგმა-გრაფიკი** | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **N** | **პროექტის განხორციელების ეტაპები და შესაბამისი აქტივობები** | **1** | **2 თვე** | **3 თვე** | **4 თვე** | **5 თვე** | **6 თვე** |
| | **ეტაპი I** | | | | | | |
| 1 | მონწილეთა რეგისტრაციის აპლიკაციის ჩაშვება | ივლისი | აგვისტო | სექტემბერი | | | |
| 2 | მონაწილეთა გადახარისხება/გადარჩევა | ივლისი | აგვისტო | სექტემბერი | | | |
| **3** | | | | | | | |
| | **ეტაპი II** | | | | | | |
| 1 | ექსკურსია რაბათში | ივლისი | აგვისტო | სექტემბერი | ოქტომბერი | ნოემბერი | დეკემბერი |
| 2 | ტრენინგები | ივლისი | აგვისტო | სექტემბერი | ოქტომბერი | ნოემბერი | დეკემბერი |
| 3 | ექსკურსია ვარძიაში | ივლისი | აგვისტო | სექტემბერი | ოქტომბერი | ნოემბერი | დეკემბერი |
| | **ეტაპი III** | | | | | | |
| 1 | პროექტის მონაწილეთა დაჯილდოება | ივლისი | აგვისტო | სექტემბერი | ოქტომბერი | ნოემბერი | დეკემბერი |

**მიზნობრივი ჯგუფები/ბენეფიციარები:** პროექტის ბენეფიციარები იქნებიან ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები.

**მოსალოდნელი შედეგები:**

პროექტის შედეგად სტუდენტები გაიღრმავებენ საბაზისო თეატრალურ უნარ-ჩვევებს და პრაქტიკულად გამოცდიან საკუთარ თავს სცენასთან დაკავშირებულ სხვადასხვა როლში – მსახიობის, რეჟისორის, სცენოგრაფისა და მუსიკალური გამფორმებლის ამპლუაში.

მონაწილეები განივითარებენ გუნდური მუშაობის, კომუნიკაციის, თვითპრეზენტაციისა და კრეატიული აზროვნების უნარებს.

ფოტოგრაფიული პროცესისა და მინი ოსკარის ფორმატის მეშვეობით, მონაწილეები მიიღებენ პოზიტიურ უკუკავშირს, გაძლიერდება მათი მოტივაცია და თავდაჯერებულობა.

ექსკურსიები და კულტურულ მემკვიდრეობასთან შეხება დაეხმარება სტუდენტებს ფართო შემეცნებითი და ემოციური თვალსაწიერის ჩამოყალიბებაში, რაც პროექტს გადააქცევს ღრმა პიროვნულ და პროფესიულ გამოცდილებად.

**მონიტორინგი:** პროექტს მონიტორინგს გაუწევს სტუდენტთა კარიერული განვითარების დეპარტამენტი

შეფასება: ჩვენ განსაზღვრული გვაქვს წინასწარ ის ძირითადი კრიტერიუმები, რომლებიც დეტალურად განსაზღვრავენ თუ რა იქნება წარმატების ძირითადი მაჩვენებელი ესენია:

1. ჩართული სტუდენტების, სამომავლოდ მიღებული ცოდნის საუნივერსიტეტო სივრცეში გამოყენება;

2. ახალგაზრდები სამომავლოდ თვითონ იქნებიან სხვადასხვა ლიდერული პროექტების ხელმძღვანელები და ავტორები

3. სტუდენტებს გაუჩნდებათ სურვილი განახორციელონ და აქტიურ სტუდენტურ ცხოვრებას შეუერთდნენ სწორედ ზემოთ აღნიშნული კრიტერიუმები, იქნება ჩვენი პროექტის შეფასების საშუალება, რისთვისაც ჩემი გუნდი და მე მზად ვართ მუხლჩაუხრელად ვიმუშავოთ.

# პროექტის ბიუჯეტი

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | **სტუდენტური პროექტის „თეატრის 72 საათი - როცა სცენის ფარდა იხსნება“ 2025 წლის ბიუჯეტი** | | | | | | | | | | |
| | **პროექტის მოკლე აღწერა** - პროექტი ითვალისწინებს თეატრალური ბანაკის ორგანიზებას ახალციხეში. პროექტი შექმნის ახალ თეატრალურ სივრცეს სტუდენტებისთვის, სადაც 72 საათის განმავლობაში შეისწავლიან მსახიობის, რეჟისორის, სცენოგრაფისა და მუსიკალური გამფორმებლის როლებს, რაც საშუალებას აძლევს სტუდენტებს, საკუთარი თავი აღმოაჩინონ შემოქმედებით, პროფესიულ გარემოში. | | | | | | | | | | |
| N | განსახორციელებელი აქტივობის/ ღონისძიების /ხარჯის დასახელება | გასაწევი ხარჯის დეტალური გაანგარიშება | თანხა | მოსალოდნელი საბოლოო შედეგი | საბოლოო შედეგის ინდიკატორ(ებ)ი | ხარჯის გაწევის პერიოდი წლის შესაბამისი თვეების შესაბამისად | | | | | |
| | | | | | | ივლ | აგვ | სექტ | ოქტ | ნოე | დეკ |
| 1 | სასტუმროში განთავსება | სასტუმროს მომსახურება | 4500 | ჩართული სტუდენტები იქნებიან კომფორტულად, კომფორტულ გარემოში | სტუდენტთა კმაყოფილება | + | + | + | + | | |
| 2 | სტუდენტის შრომის ანაზღაურება | ხელმძღვანელის გაწეული შრომის ანაზღაურება | 1000 | მოტივაციის ამაღლება, წახალისება, გაწეული შრომის დაფასება | სტუდენტის კმაყოფილება | | | | + | + | + |
| 3 | ტრენერის ანაზღაურება | ტრენერის გაწეული შრომის ანაზღაურება | 500 | გაწეული შრომის დაფასება | ტრენერის კმაყოფილენბა | + | + | + | + | | |
| 4 | ტრანსპორტირება | სტუდენტების განთავსება, ექსკურსია | 3000 | მონაწილეები დროულად და უსაფრთხოდ მივლენ დანიშნულების პუნქტთან | პროექტის მონაწილეების გადაადგილები დანიშნულების ადგილას და უკან, სტუდენტთა კმაყოფილება | + | + | + | + | | |
| 5 | კვება | | 3000 | პროექტის მონაწილეები უზრუნველყოფილნი | კვების პროცესის განხორციელება შეფერხებების | + | + | + | + | | |

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | იქნებიან ხარისხიანი და დროული კვებით | გარეშე დაგეგმილი გრაფიკის შესაბამისად. მონაწილეთა კმაყოფილება, კვებით უზრუნველყოფილი მონაწილეები | | | | | | |